# სარბიელი

სპორტული გაზეთი · გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან · პარასკევი, 9 ივნისი 1995 № 31 (169) · ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წაართვით მაგათ ეს ოხერი ბურთი!

## – გასძახოდა თავისიანებს ნევილ საუთჰოლი, ქართველთა შეტევებით შეწუხებული მეკარე

ჩვენ ფრე დავიმსახურეთ, 0:0 კარგი იქნებოდა — თქვა მატჩისშემდგომ პრეს-კონფერენციაზე უელსელთა მწვრთნელმა მაიკ სმიტმა, ვინც ამ შესარჩევ ჯგუფში ყველაზე მეტად იწვნია ქართველთა ძალა. სმიტი მართალი მხოლოდ მაშინ იყო, როცა თქვა, ფრე კარგი იქნებოდაო, დამსახურებაზე კი რა მოგახსენოთ: ასეთი უპირატესობა საქართველოს ნაკრებს სხვა არცერთ, თვით 5:0-ით მოგებულ მატჩშიც არ ჰქონია. მარტო ის რად ღირს, რომ ჩვენი ნაკრების ყველა მოთამაშემ, თვით ბერაძისა და ჩიხრაძის ჩათვლით, თითოჯერ მაინც დაარტყა სახიფათოდ საუთჰოლის კარში, მისი ქართველი კოლეგა, სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი დევაძე კი მართლაც უსაქმოდ დარჩა — მას არცერთი ბურთი არ მისვლია. მოკლედ, უელსელებმა 0:1 წააგეს და დაპირებული 3-3 ათასი გირვანქაც თავანთი ფეხბურთის ფედერაციის ხაზინაში დატოვეს.



### გიორგი ქინქლაძე:

გოგიჩაიშვილისგან პასი მივიღე და ბურთს შევყევი. მათი კაპიტანი ჰორნი მომდევდა, საჯარიმომდე ხუთი მეტრიღა რჩებოდა. დავინახე, საუთჰოლი ოდნავ წინ გამოსულიყო, მეც ამას ველოდი, ფეხი მოვიქნიე, თითქოს ძლიერად ვურტყამდი, ბურთი კი ჭვინტით აუტრიალე საუთჰოლს თავს ზემოთ, მანაც თვალიდა გაყოლა, მიხვდა, რომ ვეღარაფერს გახდებოდა და გადახტომა არც უცდია...



## მაიკ სმიტი. თამაშამდე

— გერმანიაში თამაშის მერე თქვით, თბილისურ შოკს ახლაღა დავაღწიე თავიო. ნამდვილად განთავისუფლდით 0:5-ის კომპლექსისგან?

— **ხვალ ვნახავთ. მაშინ გერმანიას ვეთამაშეთ, ხვალ კი ქართველები გვხვდებიან.**

— თბილისში ნაგებაზე იმანაც ხომ არ იმოქმედა, რომ თამაში თქვენი დროით დილის ათზე დაიწყო.

— **მართალია, მაშინ გვეგონა, რომ თამაში საღამოს იქნებოდა, მაგრამ ის ნაგება რომ დროს დავაბრალო, მართალი კაცის სახელს დავკარგავ. თამაშის შემდეგ მე არცერთი ფეხბურთელისთვის არ მისაყვედურია — ცუდად ხომ არავის უთამაშია. უბრალოდ, ქართველები იყვნენ შეუდარებელნი.**

— კვლავ უგიგზოდ დარჩენილხართ...

— **ამას უკვე მივეჩვიეთ, ახლაც თითქმის იმავე შემადგენლობით ვითამაშებთ, როგორითაც გერმანიაში.**

— კარდიფში თვლიან, რომ ხვალ მოგება ღირსების საქმეა...

— **რაიმე განსაკუთრებული ემოციები მე არ მაწუხებს.**

— ნუთუ მართლაც არ გსურთ 0:5-ის მერე რევანში?

— **უბრალოდ, მინდა რომ კარგად ვითამაშოთ.**

## ალექსანდრე ჩივაძე. თამაშის შემდეგ




**გერმანიის ნაკრების ბულგარეთთან გუშინწინდელი მარცხის შემდეგ ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი კვლავ გაგვიჩნდა. ახლა გერმანელებს ჩვენზე ერთი ქულით მეტი და ერთი მატჩით ნაკლები აქვთ. ასე რომ, 6 სექტემბერს კიდევ ერთი „საუკუნის მატჩი" გველის...**

ბრიტანეთს მივლინებული ჩვენი კორესპონდენტი ზურაბ მეძველია კავშირის განყვეტის გამო მხოლოდ მცირე ხნით დაგვიკავშირდა და მისი კორესპონდენციის მხოლოდ ნაწილის მიღება შევძელით. უმეტეს ნაწილსაც, თუ ისევ კავშირმა არ დაგვალალატა, მომდევნო „სარბიელში" შემოგთავაზებთ...

## ბრიტანული პრესა. თამაშის შემდეგ

ჯოუნზთან ერთად მოედნიდან უელსის უკანასკნელი იმედი გავიდა. უელსელებმა, სხვა მატჩებისგან განსხვავებით, ამჯერად უფრო შეკრულებმა ითამაშეს, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდათ.

ფეხმარდმა ქართველმა არტისტებმა გოლის გატანა კი დაიგვიანეს, მაგრამ დამთავრებამდე 17 წუთით ადრე უბრწყინვალესი ბურთი შეაგდეს. ქინქლაძემ დაინახა, რომ საუთჰოლი კარს გამოსცდა და 20 იარდიდან დიდებულად დაკიდებული ბურთი გაგზავნა კარისკენ.

„თაიმზი"

### ჯოუნზი კვლავ გააგდეს, უელსი კვლავ აგებს

ჯოუნზმა ახალი სირცხვილი აჭამა უელსს. ეს კაცი პირველად დეკემბერში ვნახეთ და მას მერე ველოდებით, როდის გააგდებენ მოედნიდან. უელსის ახალმა „ვარსკვლავმა" ბოროტად ჩაარტყა ყაველაშვილს და ერთადერთი გამართლება ის იყო, რომ მოედანი ულაპარაკოდ დატოვა.

ეს სეზონი ჯოუნზმა ისე დაასრულა, როგორც იქცეოდა. „უიმბლდონში" ორჯერ გააგდეს, ერთხელ რეპორტიორს ცხვირზე უკბინა. მერე კი კევინ კიგანს უპირებდა ცემას, რის გამოც ფეხბურთის ფედერაციამ დააჯარიმა.

ტექნიკური ქართველები, რომლებმაც 5 გოლი გაუტანეს უელსს, ამჯერად ერთით დაკმაყოფილდნენ. უელსელთა დარტყმები ბოლო წუთზე უფრო ნყვდიადში დარტყმებს ჰგავდა.

„ინდეპენდენტი"

### ჯოუნზის ჩაწიხლვამ დაღუპა უელსი

ვინი ჯოუნზმა მე-9 წითელი ბარათი მიიღო კარიერაში. მან შეარცხვინა ის ქვეყანა, რომელმაც იშვილა. ჯოუნზის მკვდარი ბაბუა ყოფილა უელსელი. იგი სმიტმა მოიყვანა გუნდში, მაგრამ მისი ევროპული კარიერა დასრულდა. ოქტომბერში ალბათ სმიტსაც მოხსნიან, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი დეკემბრამდე აქვს.

ყველაზე საკვირველი კი ის იყო, რომ ქართველებმა მხოლოდ ბოლოში გაიტანეს გოლი.

„გარდიანი"



# ხერხი სადღა წაიღეს?

ხერხი ვერა სჯობს ღონესა — ასე დავასათაურეთ „სარბიელში“ საქართველოსა და უელსის ახალგაზრდულ ნაკრებთა პირველი თამაში, სადაც ფიზიკურად საუცხოოდ მომზადებულმა ბრიტანელმა ჭაბუკებმა დაჩაგრეს ქართველი თანატოლები და გაიმარჯვეს კიდეც. იმის მერე შვიდი თვე გავიდა, მაგრამ ჩვენს სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა და სამშაბათს ახალგაზრდებმა მორიგი, ამჯერად განადგურების ტოლფასი დამარცხება იწვნიეს.

...6 ივნისი ისტორიული დღეა „არმზ პარკის“ ცხოვრებაში — წერდა კარდიფის პრესა. საქმე ასე ყოფილა: უელსის მთავარი ქალაქის ცენტრში მდებარე „არმზ პარკის“ კომპლექსი ორი სათამაშო მოედნისგან შედგება. მთავარ მოედანს, სადაც პირველ ნაკრებებს უნდა ეთამაშათ, ოფიციალურად „ეროვნული სტადიონი“ ჰქვია და აქ ფეხბურთელებიც თამაშობენ და მორაგბეებიც. აი, მეორე მოედანი კი დღემდე მხოლოდ ოვალურ ბურთს ჰქონდა დაპყრობილი, მაგრამ მორაგბეთა ეროვნული გუნდი ცხრა მთას იქით, მსოფლიო თასზე რომ დაიგულეს, ფეხბურთელებმაც შეაღწიეს სანუკვარ მოედანზე და 6 ივნისს ქართველებს სწორედ აქ დაუხვდნენ. სახელგანთქმული მორაგბეები ჭაბუკ ფეხბურთელებს არ შეურცხვენიათ და „არმზ პარკ II“-ის ისტორიაში პირველი საფეხბურთო მატჩი გამანადგურებული ანგარიშით მოიგეს.

ისევ ამ გუნდების პირველ მატჩს დავუბრუნდეთ. ალბათ გახსოვთ, ჩვენებურთაგან მხოლოდ არჩილისა და ზაზა ჯანაშიას თამაშს რომ გამოვყოფდით. სამტრედიელმა სწორედ იმ თამაშში მიიღო წითელი ბარათი, კარდიფს ვეღარ ესტუმრა და აჩიც ეულად დატოვა. თითქოს იაშვილს შესწევდა მისი შეცვლის უნარი, მაგრამ...

თამაში აუტანელ ხმაურში დაიწყო. არა, ტრიბუნებზე სულ ათასამდე კაცი იჯდა და ისინიც საოცრად მორიდებულად ქომაგობდნენ საკუთარ გუნდს. უბრალოდ, თავად უელსელი მოთამაშეები ამხნევებდნენ ამგვარად ერთმანეთს. დასაწყისშივე შემოთავაზებულ წმინდა ბრიტანულ თამაშს (აბა, უელსელები ხომ არ გარდაიქმნებოდნენ?!) ჩვენებმა საკუთარი ვერაფერი დაუპირისპირეს და იმისთანა ძალისმიერ ბურთაობაში აჰყვნენ მეტოქეს, ცხადი გახდა — ჯანმაგარ მასპინძლებს სტუმრები ვერაფერს დააკლებდნენ. მესამე წუთზევე რეხვიაშვილს ტუჩი გაუხეთქეს, მოედანზე დაბრუნებულს კი ტეილორი ისე დაეტაკა, ჩვენს მარჯვენა მცველს კიდევ სამი წუთი წამლობა დასჭირდა. არ ვიცი, ამას დავაბრალო თუ არა, მაგრამ შემდგომში რეხვიაშვილი ნამეტანი ნერვიულად თამაშობდა, სათამაშო სიტუაციებს რომ თავი ვანებოთ, მან სამჯერ (!) უხეიროდ მოაწოდა აუტი („არმზ პარკისთვის“ ტრადიციულად, მაგრამ ამ დღეს ხომ ფეხბურთს თამაშობდნენ) და სამივეჯერ მსაჯმა ბურთი მასპინძლებს გადაულოცა. ასევე მოუვიდა გვარამაძეს, ვინც უელსელებთან წინა მატჩში გაშვებულ გოლებში დადანაშაულებული ჯანელიძე შეცვალა: თავისუფალ დარტყმათა უმრავლესობა ცენტრის იქით ვერ მიაწვდინა, დანარჩენი კი ტანმაღალ მეტოქეთა ნადავლი გახდა, თუმცა ამას მეკარის ბრალი აღარ ეთქმის — ბრიტანელებთან პირველ დარტყმას რომ თამაშში ბურთის ხელით შეყვანა სჯობს, ცხადია. მოკლედ, ჩვენებისთვის, მასპინძელთა უბრალო, ათასჯერ გამეორებული ტაქტიკით თამაში რატომღაც დაუძლეველი აღმოჩნდა.

სტუმართა პირველი ხეირიანი შეტევა 21-ე წუთზეღა იხილა მაყურებელმა: იაშვილისა და დემეტრაძის გარღვევა ბოლო მომენტში შეფერხდა. მეორეს კიდევ 15 წუთი დასჭირდა: აჩიკოს წამოწყებული კომბინაცია იაშვილმა გააგრძელა, მაგრამ საჯარიმოს სიახლოვეს მცველი ჩაუწვა და საკუთარ კარს ხიფათი აარიდა. ამასობაში ტეილორი მიზანს ისწორებდა და სამჯერ-ოთხჯერ გვარამაძის კარს ცოტათი ააცილა. სანამ „ბრისტოლ როვერსის“ თავდამსხმელი ცოდვილობდა, შეტევაში ადგილობრივი „სიტის“ მცველი ტერი ევანსი ჩაერთო და თანაგუნდელთა თაური კომბინაცია ფეხით ზუსტად დაამთავრა — 1:0. ეს ტაიმის ბოლო წუთზე მოხდა და თითქოს შესვენებაზე გუნდები ასეც უნდა წასულიყვნენ, მაგრამ „რეკორდის“ მთავარი გმირისა არ იყოს, სტუმრებიც მხოლოდ გაშვებული გოლის შემდეგ აენთნენ: ჭიჭვეიშვილის პასით მუჯირი საჯარიმოში შეიჭრა და დაარტყა — 1:1. ამ გოლში კიდევ ორ კაცს მიუძღვის წვლილი: იაშვილს, ვინც ორი მცველი თან გაიყოლა და მუჯირს „დერეფანი“ შეუქმნა და ფრანგ მსაჯს — ჩვენები მარჯვენა ფრთიდან აპირებდნენ შეტევას, მაგრამ ბურთი არბიტრს გაარტყეს და ამისგან მარცხენა ფრთაზე ჭიჭვეიშვილს მიუვიდა. ამიტომაც იყო, რომ მეორე ტაიმში ერთი ჩემი კოლეგა ხუმრობდა: ბურთი ჯერ მსაჯს თუ არ მოხვდა, ჩვენების მორიგ გოლს ვეღარ ვიჩქარეთ ხუმრობ-ხუმრობით, მაგრამ ასეც მოხდა — არბიტრი უედგალო ალაგას აღარ გაჩერებულა, ახალგაზრდა ქართველების ძალა კი თითქმის ამოიწურა. მხოლოდ ერთხელ, დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ჩვენგან საუკეთესო არჩილ არველაძის საჯარიმო დარტყმა მოხვდა ძელს, ამ დროს კი უკვე 1:4 იყო.

მეორე ტაიმის დაწყებიდან სამი წუთი გავიდა და სახიფათო თამაშისთვის ჩვენს კარებთან თავისუფალი დარტყმა დანიშნა. ვინაიდან დარღვევა საჯარიმოს ახლოს მოხდა, ცოცხალი კედელი და გვარამაძე თითქმის ერთ ხაზზე აღმოჩნდნენ. პენალტზე ოდნავ უარესი ჯარიმა უელსელებმა წარმატებით გამოიყენეს: ბურთი ტეილორს დაუგორეს და ამანაც ლამის იყო ბადე გახია. სწორედ ამის მერე იყო ათწუთიანი მონაკვეთი, სადაც ჩვენმა ნაკრებმა სწორედ ისე ითამაშა, როგორც საჭირო იყო. ქაოტური მაღალი პასები ბურთის გათამაშებამ შეცვალა და ერთ მომენტში ამან კანონზომიერი ნაყოფიც გამოიღო, მაგრამ ... კი, იმის მაგივრად, რომ ბოლომდე ებრძოლა, დემონსტრაციულად დაეცა და მსაჯს რომ არ დაენდო, სიმულაციისთვის გაფრთხილებასაც ხელს გამოკრავდა. მალე დენი კოინმა იაშვილის დარტყმა მოიგერია და მასპინძელთა მწვრთნელმა ბრაიან ფლინმა პირველი შეცვლაც გააკეთა.

თამაშის ბედი 62-ე წუთზე გადაწყდა. აქამდე თავდაუზოგავად მებრძოლმა არჩილმა მატჩში ერთადერთი შეცდომა დაუშვა და თავისიანის ნაცვლად ბურთი ლივერპულელ ლი ჯოუნზს მიაწოდა. ეს თავქუდმოგლეჯილი გავარდა მარჯვენა ფრთაზე, ჩააწოდა და ვინაიდან გვარამაძე ბურთს აცდა, ტეილორს ცარიელ კარში მისი შეგორება აღარ გასჭირვებია. დარჩენილ დროში „ლივერპულის“ იმედმა თავადაც ორჯერ იფაქიზა: პირველად ბრეისის პასი თავით გამოიყენა, მერე კი ტეილორის თაური გადაცემა და ქართველთა განადგურება დაასრულა.

თამაშის მერე უელსლთა მწვრთნელმა თავისიანები ერთობ შეაქო, განსაკუთრებით ტეილორი და ჯოუნზი გამოჰყო — ესენი მომავალში ბევრს მიაღწევენ, მათი დიდ ფეხბურთში დაწინაურება დროის საქმეღააო. საერთოდაც, ჩემი შეგირდები მომავლის ფეხბურთელები არიანო, ესეც განაცხადა იმედიანად. რა გვეთქმის, ლასტერ, ეგრეა და აკი ჩვენების ერთ-ერთმა მწვრთნელმა ვახტანგ კოპალეიშვილმაც კვერი დაუკრა: ჯერ მასპინძელთა იმდღევანდელი ძალისხმევა მოიწონა, მერე კი ამანაც დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა ახალგაზრდა უელსელებს. სხვის იმედთან რა ხელი გვაქვს, ივარგონ და ღმერთმა შეარგოს, მაგრამ ჩვენ რომ ჩვენი გვაქვს თავშისაცემი: სტუმრად მარცხი, თუნდაც გვარიანი, რა შესაცხადებელია. ხდება, ვის არ შემთხვევია, მაგრამ სწორედ ის საიმედო და სამომავლო ვერა ვნახეთ ჩვენიანებში (ვერც უწინ, ვერც ამჯერად), უელსელებს ასე თავაწეულებს რომ ალაპარაკებს.

**ზურაბ მეძველია**
კარდიფიდან

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი. VII შესარჩევი ჯგუფი. 6 ივნისი, კარდიფი

### უელსი 5:1 საქართველო

უელსი: კოინი, ბრეისი, ედვარდსი, პ.ევანსი, პეიჯი (დევისი 75), პიუზი, ტვიდი (მორგანი 60), ჩაპლი, ტეილორი, ჯოუნზი, სავიჯი.

საქართველო: გვარამაძე, რეხვიაშვილი (პაპიძე 74), კიკნაძე, ჯელაძე, კარიაული, ჭიჭვეიშვილი (ბუცურეიშვილი 81), დემეტრაძე, მუჯირი, იაშვილი, ხომერიკი, ა.არველაძე.

1:0 ევანსი (44), 1:1 მუჯირი (45), 2:1 ტეილორი (49), 3:1 ტეილორი (62), 4:1 ჯოუნზი (76), 5:1 ჯოუნზი (81)

გაფრთხილება: ტეილორი, კიკნაძე, მორგანი

მსაჯები: ვისიე, სიტრუ, რინო (საფრანგეთი)

### ბულგარეთი 2:0 გერმანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 9-2 | 14 |
| უელსი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-7 | 7 |
| გერმანია | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| მოლდოვა | 5 | 1 | 1 | 3 | 2-6 | 4 |
| საქართველო | 5 | 1 | 0 | 4 | 4-10 | 3 |

სხვა ჯგუფების ზოგიერთი შედეგი ასეთია: ნორვეგია — მალტა 3:0, პოლონეთი — სლოვაკეთი 1:0, ესპანეთი — სომხეთი 4:0, სან-მარინო — რუსეთი 0:7, ლუქსემბურგი — ჩეხეთი 0:7, ბელარუსი — პოლანდია 3:1

## მატჩის სტენოგრამა

მე-2 წუთი: ქეცბაიას დარტყმული კარს მცირედით ასცდა.

7: უელსელთა პირველი კუთხური — ცხადაძემ თავით მოიგერია

8: ქეცბაიამ კიდევ დაარტყა, ამჯერად ცაციათი — კვლავ ააცილა.

11: ქინქლაძე მოცელეს — ჯარიმა. შელიას დარტყმა 21 მეტრიდან — ასცდა

19: ფილიპსმა მარჯვნიდან ჩააწოდა, პიუზმა შეუჩერებლად დაარტყა — ბურთი ხარიხას გადასცდა.

25: ინალიშვილმა მარჯვნიდან ჩააწოდა — ყაველაშვილის თაური ასცდა. სახიფათოდ კი მიიღო, მაგრამ ჩვენებმა არ დაარტყმევინეს.

29: ჯოუნზმა წაქცეულ ყაველაშვილს ფეხი ჩაარტყა დაუნდობლად. უელსელიგააძევეს, ქართველი საკაცით გაიყვანეს.

36: დევაძემ ბურთი აიღო, რაშმა კი ხელზე დააბიჯა. უწამლეს. არადა, ზოიძეს კარდიფში პირველსავე ვარჯიშზე ხელი დაუშავდა და სათადარიგოდ გვარამაძეა. ოლიმპიური ნაკრების კიდევ ერთი მოთამაშე ზის სათადარიგოთა სკამზე: არჩილ არველაძემ შეცვალა მაჭავარიანი, რომლის საკარდიფო საბუთების გამზადება ვერ მოესწრო.

40: ქეცბაიას ბურთი ხელზე მოხვდა. ჯარიმა ფილიპსმა ჩააწოდა, ჩვენებმა პირველად წააგეს საჰაერო ბრძოლა, ვილიამსის თაური კარს მცირედით ასცდა.

41: ყაველაშვილი მეკარესთან პირისპირ გავიდა, სათუპოლმა ფეხით მოიგერია დარტყმა, შეტევა გაგრძელდა (ეს ჩვენების ყველაზე სახიფათო შეტევა იყო აქამდე).

44: „კედელი“: ყაველაშვილი — შ. არველაძე — ყაველაშვილი, უკანასკნელის დარტყმა საჯარიმო მოედნიდან ასცდა.

46: ყაველაშვილი წააქციეს, მაგრამ ქეცბაიას დარტყმას პორნი ჩაუწვა.

48: ს ნდერსის დარტყმას 14 მეტრიდან ცხადაძემ თავი დაუხვედრა — კუთხური

49: შოთამ ყაველაშვილთან „კედელი“ გაითამაშა, დაარტყა და ხარიხას გაარტყა.

50: ქინქლაძის დაბალი დარტყმა 22 მეტრიდან — მცირედით ასცდა.

51: ოთხი ჩვენიანი იმათი სამი მცველის წინააღმდეგ. გოგიჩაიშვილის დარტყმას ჩაუწვნენ.

52: ცხადაძემ დაარტყა — ასცდა.

53: შელიამ დაარტყა — ასცდა.

63: ინალიშვილის დარტყმაც ასცდა.

66: ქეცბაიას პასი — ინალიშვილი ზედ კარის წინაა (ხაზზე) — ააცილა.

67: ჩვენს საჯარიმოში არეულობაა, საიმონსმა ააცილა.

69: ჩიხრაძე რაშთან დაჯარიმდა და ყვითელი ბარათი მიიღო.

70: ბერაძემაც (?!) დაარტყა საჯარიმოს შიგნიდან — საუთპოლმა მოიგერია.

72: ქინქლაძემ მოულოდნელად 18 მეტრიდან თავზე გადაუტარა საუთპოლს ბურთი — 0:1, ეს არც განძრეულა.

79: ჩიხრაძემ დაარტყა — ააცილა.

85: გოგიჩაიშვილის გარღვევა, პასი ბერაძეს, ამან — ინალიშვილს — ამის დარტყმული 13 მეტრიდან საუთპოლმა კუთხურზე მოიგერია.

86: ყველაზე სახიფათო მომენტი ჩვენს კართან, მაგრამ ვილიამსმა 7 მეტრიდან ააცილა.

87: ჩვენს კართან კვლავ ხიფათია, მაგრამ ბოუენმა კვლავ ააცილა.

89: დევაძე გააფრთხილეს დროის გაყვანისთვის.

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. VII ჯგუფი

7 ივნისი, კარდიფი, „არმზ პარკი“. 10 000 მაყურებელი

### უელსი 0:1 საქართველო

1. საუთპოლი
2. ფილიპსი 6. საიმონსი 5. ვილიამსი 3. ბოუენი
4. ჯოუნზი
7. პორნი 11. კორნფორსი
8. სონდერსი
10. პიუზი 9. რაში

8. ყაველაშვილი 11. შ. არველაძე
9. ქეცბაია 10. ქინქლაძე 6. გოგიჩაიშვილი
7. ინალიშვილი
5. ჩიხრაძე 4. შელია 2. ბერაძე
3. ცხადაძე
1. დევაძე

შეცვლები: 73-ე წთ. ყაველაშვილი — 15. ცქიტიშვილი
85-ე წთ. სონდერსი — 16. პართსონი
85-ე წთ. პიუზი — 14. პემბრიჯი
86-ე წთ. შ. არველაძე — 12. გ. კილასონია

0:1 ქინქლაძე (72)

გაფრთხილება: ჩიხრაძე (69), დევაძე (89)
გაძევება: ჯოუნზი (29)

კუთხური — 3:2 (2:1), კარში დარტყმა — 6:18 (2:8),
ჯარიმა — 13:10 (10:6), ოფსაიდი — 1:3 (0:1)

მსაჯები: კოპო, ილი-კარო, სიობლომი (ფინეთი)



რობერტ სავიჯთან შეჯახების შემდეგ ალექსანდრე რეხვიაშვილს ტუჩი გაუსკდა. ფოტო გაზეთ „საუს ველს ექოდან“

## VII ჯგუფი

მოლდოვა 2:3 ალბანეთი

**ბულგარეთი 3:2 გერმანია**

ბულგარეთი: მიხაილოვი, კრემენლიევი, ივანოვი, ცვეტანოვი, ხუბჩევი, იანკოვი, იორდანოვი (63 კოსტადინოვი), სტოიჩკოვი, პენევი, ბალაკოვი, ლეჩკოვი (80 სირაკოვი)

გერმანია: კეპკე, როიტერი, შტრუნცი (92 კირსტენი), ბაბელი, ჰელმერი, ზამერი, აილტსი, ბასლერი (80 მიოლერი), კლინსმანი, ჰესლერი, ჰერლიხი

0:1 კლინსმანი (18), 0:2 შტრუნცი (44), 1:2, 2:2 სტოიჩკოვი (45 პ, 66 პ), 3:2 კოსტადინოვი (69)

გაფრთხილება: როიტერი, ჰერლიხი, ზამერი, კლინსმანი, ივანოვი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 18-4 | 18 |
| გერმანია | 6 | 4 | 1 | 1 | 12-6 | 13 |
| საქართველო | 7 | 4 | 0 | 3 | 9-5 | 12 |
| ალბანეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 8-11 | 6 |
| მოლდოვა | 7 | 2 | 0 | 5 | 7-18 | 6 |
| უელსი | 7 | 1 | 1 | 5 | 6-16 | 4 |

6 სექტემბერი. გერმანია — საქართველო, უელსი — მოლდოვა, ალბანეთი — ბულგარეთი, 7 ოქტომბერი. ბულგარეთი — ალბანეთი, 8 ოქტომბერი. გერმანია — მოლდოვა, 11 ოქტომბერი. საქართველო — ბულგარეთი, უელსი — გერმანია, 15 ნოემბერი. მოლდოვა — საქართველო, ალბანეთი — უელსი, გერმანია — ბულგარეთი

# ღამე-სასწაული სოფიაში

ოთხშაბათს ღამით ევროპის ლამის ყველა ტელეკომპანია ჩვენი, მე-8 ჯგუფის უმთავრეს თამაშს ბულგარეთ-გერმანიას ან გადასცემდა, ანაც მოიხილავდა, ეს შეხვედრა მთელი ევროპის ცენტრალურ საფეხბურთო მოვლენად იქცა და მიზეზი ცხადზე უცხადესია. ერთმანეთს დღევანდელი მსოფლიოს ორი უძლიერესთაგანი ხვდებოდა, თანაც ისინი, ერთს მეორის ბოლმა რომ აწრჩობს და შური აქვს საძიებელი. მსოფლიოს ჩემპი[illegible]ის მეოთხედფინალში განბილებამ გერმანელები ბულგარეთზე ისე გაავა, რომ თბილისში ყოფნისას პრეს-კონფერენციაზე ბერტი ფოგტსმა კითხვაზე, რას უსურვებთ საქართველოს ნაკრებსო, ტრადიციული დიპლომატიური დაყვავებისა და კეთილი სურვილების ნაცვლად, ბულგარეთთან მოგებასო, განაცხადა.

თამაში სტუმრებმა მართლაც შესაშური შემართებით დაიწყეს. პირველი, რაც მოხდა, ის იყო, რომ იტალიელმა მსაჯმა პაირეტომ ჰაიკო ჰერლიხს, ალბათ საჯარიმოში განზრახ წაქცევისთვის, ყვითელი ბარათი ამოუღო. ამის შემდეგ ბასლერი პირისპირ შევიდა, მაგრამ ააცილა. ამ შეხვედრაში მას მეკარესთან გასვლა და ვერგატანა თუ ეწერა, რადგან ასეთი სიტუაცია, (როგორც ჩანს, დამუშავებული კომბინაცია) მოგვიანებით კვლავაც განმეორდა. მე 18 წუთზე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონებმა იმარჯვეს: ბასლერმა მარჯვენა ფრთაზე ჰესლერთან გაათამაშა და ჩააწოდა. ბურთს იურგენ კლინსმანმა სწორი გეზი მისცა — 0:1. შემდეგ ბულგარელები გააქტიურდნენ და ხრისტო სტოიჩკოვმა ძელს მოარტყა. თანდათან გამოიკვეთა, რომ სტუმართა დაცვა უშეცდომოდ თამაშს ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ მასპინძლებს განგებამ სხვა გამოცდა მოუწყო — ტაიმის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე ბასლერმა აუტიდან ჰერლიხს მიაწოდა, ამან ბრძოლაში თავით დაუგდო კლინსმანს, რომელმაც შტრუნცს დაუგორა და — 0:2. ბულგარელებმა უმძიმეს გამოცდას თავი დიდებულად გაართვეს. ერთ წუთში შტრუნცმა საჯარიმოში ბალაკოვი წააქცია. პენალტი სტოიჩკოვმა შეასრულა — 1:2. მეორე ტაიმში კვლავაც დიდი ბრძოლა გაჩაღდა, მაგრამ 66-ე წუთამდე ანგარიში უცვლელი

იყო, აქ კი მოედანზე ახალშესულ კოსტადინოვს ჰელმერმა სარმა გამოსდო და სტოიჩკოვმა კეპკეს ტყუპისცალივით მსგავსი თერთმეტმეტრიანი გაუტანა — 2:2. ვერ გეტყვით, რით არის განპირობებული, მაგრამ ემილ კოსტადინოვი გადამწყვეტ მომენტებში ბულგარელთა მხსნელად ჩამოყალიბდა. გაიხსენეთ ათასგზის ნაჩვენებხსენებული გოლი პარიზში ან თუნდაც საქართველოსთან მეორე ტაიმში შესვლა და გარდატეხის შეტანა. იგივე მოხდა, გერმანიასთანაც. ანგარიშის გათანაბრებიდან სამი წუთის მერე „ბაიერნის" ფორვარდმა თავის ქომაგებს სასწაული საღამო აჩუქა. გერმანელებს დაემართათ ის, რასაც თავად აწევდნენ ხოლმე სხვებს — თითქმის განწირულმა მეტოქემ არნახულად გაიბრძოლა და ტრიუმფით დატოვა მოედანი.

პაპუნა ქედია

## I ჯგუფი

პოლონეთი 5:0 სლოვაკეთი

1:0, 5:0 იუსკოვიაკი (9, 73), 2:0 ვიშჩეცკი (59), 3:0 კოსეცკი (63), 4:0 ნოვაკი (70)

რუმინეთი 2:1 ისრაელი

1:0 ლეკეტუში (16), 1:1 ბერკოვიჩი (50), 2:1 მუნტეანუ (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 15-6 | 17 |
| საფრანგეთი | 6 | 2 | 4 | 0 | 6-0 | 10 |
| პოლონეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 12-7 | 10 |
| ისრაელი | 7 | 2 | 3 | 2 | 11-10 | 9 |
| სლოვაკეთი | 6 | 1 | 2 | 3 | 8-15 | 5 |
| აზერბაიჯანი | 6 | 0 | 0 | 6 | 2-16 | 0 |

## II ჯგუფი

დანია 4:0 კვიპროსი

მაკედონია 0:5 ბელგია

ესპანეთი 1:0 სომხეთი

იერო (64 პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 7 | 6 | 1 | 0 | 15-3 | 19 |
| ბელგია | 7 | 3 | 2 | 2 | 13-9 | 11 |
| დანია | 6 | 3 | 2 | 1 | 10-6 | 11 |
| მაკედონია | 7 | 1 | 3 | 3 | 7-12 | 6 |
| კვიპროსი | 7 | 1 | 2 | 4 | 4-12 | 5 |
| სომხეთი | 6 | 0 | 2 | 4 | 2-9 | 2 |

## III ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-6 | 10 |
| შვეიცარია | 5 | 3 | 1 | 1 | 10-7 | 10 |
| შვედეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-8 | 7 |
| უნგრეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-6 | 5 |
| ისლანდია | 4 | 0 | 1 | 3 | 1-8 | 1 |

11 ივნისი. ისლანდია — უნგრეთი

## IV ჯგუფი

ლიტვა 2:1 სლოვენია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 6 | 5 | 1 | 0 | 12-1 | 16 |
| იტალია | 6 | 4 | 1 | 1 | 11-4 | 13 |
| ლიტვა | 6 | 3 | 1 | 2 | 6-5 | 10 |
| უკრაინა | 6 | 2 | 1 | 3 | 4-8 | 7 |
| სლოვენია | 6 | 1 | 2 | 3 | 6-7 | 5 |
| ესტონეთი | 6 | 0 | 0 | 6 | 1-15 | 0 |

11 ივნისი. ესტონეთი — სლოვენია, უკრაინა — ხორვატია

## V ჯგუფი

ლუქსემბურგი 1:0 ჩეხეთი

ნორვეგია 2:0 მალტა

ბელარუსი 1:0 ჰოლანდია

გერასიმეცი (28)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 7 | 6 | 1 | 0 | 16-1 | 19 |
| ჰოლანდია | 7 | 3 | 2 | 2 | 15-5 | 11 |
| ჩეხეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 13-5 | 11 |
| ბელარუსი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-10 | 7 |
| ლუქსემბურგი | 7 | 2 | 0 | 5 | 2-18 | 6 |
| მალტა | 7 | 0 | 2 | 5 | 2-15 | 2 |

## VI ჯგუფი

ჩრდ. ირლანდია 1:2 ლატვია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 6 | 5 | 0 | 1 | 17-5 | 15 |
| ირლანდია | 6 | 4 | 2 | 0 | 13-1 | 14 |
| ჩრდ. ირლანდია | 7 | 3 | 1 | 3 | 10-11 | 10 |
| ავსტრია | 5 | 3 | 0 | 2 | 17-3 | 9 |
| ლატვია | 7 | 2 | 0 | 5 | 6-16 | 6 |
| ლიხტენშტეინი | 7 | 0 | 1 | 6 | 1-28 | 1 |

11 ივნისი. ირლანდია — ავსტრია

## VIII ჯგუფი

ფარერები 0:2 შოტლანდია

სან მარინო 0:7 რუსეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 18-1 | 14 |
| შოტლანდია | 7 | 4 | 2 | 1 | 12-3 | 14 |
| ფინეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 15-7 | 12 |
| საბერძნეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 12-4 | 12 |
| ფარერები | 7 | 1 | 0 | 6 | 5-24 | 3 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 1-24 | 0 |

11 ივნისი. ფინეთი — საბერძნეთი

## ფეხბურთის რუკასთან



**მალაიზიურ** ფეხბურთს თითქოს ჩაწყობილი თამაშები არ ეყოფოდა, ნარკომანია და დოპინგ-სკანდალები რომ არ დამატებოდა. ამ ქვეყანაში კლუბები კი არა, შტატები ეჯიბრებიან ერთმანეთს. მალაკას შტატის ნაკრებმა აღიარა, რომ თრიაქი ფეხბურთელებისთვის ჩვეული რამაა. მალაელები ამორჩევითი შემოწმების დანერგვას აპირებენ, გამოჭერილ მოთამაშეს კი ათწლიან დისკვალიფიკაციას მისცემენ.

**სამხრეთ აფრიკა** როგორც მასპინძელი და ნიგერია როგორც ჩემპიონი აფრიკის პირველობაზე ავტომატურად იყვნენ დაშვებულნი. ახლა, ქვეჯგუფში გამარჯვებით მათ შეემატნენ განა, ბურკინა ფასო, სიერა ლეონე, გაბონი და ზამბია. ჩემპიონატი გაისად იანვარში დაიწყება.

**მექსიკის** ჩემპიონი გახდა „ნეკაშა", რომელმაც მეორე შეხვედრაში „კრუზ აზულს" 2:0 მოუგო (ჯამში 3:1). გოლები ეკვადორელმა ალექს აგინაგამ და ჩილელმა ივო ბასაიმ გაიტანეს.

**იტალიელ** ვარსკვლავს რობერტო ბაჯოს, თუ კონტრაქტს გააგრძელებს „იუვენტუსში" ხელფასი ერთი მესამედით შეუმცირდება. ამ ამბით წახალისებული „ინტერი", „პარმა", „მილანი", „რეალი", „ბარსელონა" და იაპონიის რამდენიმე გუნდი მას თავისთან გადასვლას სთავაზობენ. ტრანსფერის თანხა სავარაუდოდ 16 მილიონი დოლარი იქნება.

**ინგლისში** საუკეთესო მცველად აღიარეს ვორენ ბარტონი, რომელიც კევინ კიგანმა 4 მილიონ გირვანქად „უიმბლდონიდან" თავისთან, „ნიუკასლში" გადაიყვანა. ბარტონს ნაკრებში ერთადერთხელ უთამაშია, ისიც ის, დუბლინში რომ ჩაიშალა. კიგანი ამბობს, ამ ბიჭისგან დიდებული მცველი დადგება, რადგან საქმეს საუცხოოდ ეკიდებაო. პორტუგალიის „პორტუს"პრეზიდენტმა ჟორჟე პინტუ დე კოშტამ ინგლისის „არსენალს" ფიფაში უჩივლა. მიზეზი ის არის, რომ „პორტუს" ცნობილ მწვრთნელ ბობი რობსონთან ხელშეკრულება კიდევ ორი წლით აქვს დადებული, „არსენალი" კი მის გადაბირებას ცდილობს. რობსონმა საჯაროდ განაცხადა, კონტრაქტი კონტრაქტია და სადმე წასვლას არ ვაპირებო.

**აშშ-მ**, როგორც იქნა, თავი მოაბა ეროვნული ლიგის შექმნას. პირველობა გაისად 31 მარტს დაიწყება და 20 ოქტომბერს დასრულდება. უკვე ცნობილია, რომ მექსიკის ნაკრების მეკარე ხორხე კამპოსი ლოს ანჯელესის გუნდში გამოვა.

**ინგლისში**, „უმბროს თასზე" წვიმის მიუხედავად ბრაზილიისა და იაპონიის შეხვედრას 30 ათასი კაცი დაესწრო. მსოფლიოს ჩემპიონმა 3:0 (კარლოსი 6, ზინიო 52, 63) მოიგო. ეს მისთვის 21-ე წაუგებელი თამაში იყო.

**ინგლისის** ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" ზანგი ნახევარმცველი პოლ ინსი 7 მილიონ გირვანქად მილანის „ინტერში" გადავიდა, მეორე შავკანიანი, ქუინზ პარკელი ლეზ ფერდინანდი კი 6 მილიონად „ნიუკასლმა" იყიდა

**არგენტინელმა** ალფიო ბასილემ 4 თვე იმუშავა მადრიდის "ატლეტიკოს" მწვრთნელად და ბოლოს პრეზიდენტ ხესუს ხილის 29-ე მსხვერპლი შეიქნა.

იტალიის თასის პირველი ფინალი. 7 ივნისი

**იუვენტუსი 1:0 პარმა**

იუვენტუსი: რამპულა (70 სკუიცი), ფერარა, ორლანდო, ტორიჩელი, პორინი, პაოლო სოუზა (78 ფუზი), დი ლივიო, დეშამპი (60 მაროკი), ვიალი, დელ პიერო, რავანელი

პარმა: ბუჩი, მუსი, დი კიარა, მინოტი, აპოლონი, კოუტუ, პინი (75 ფიორე), დ. ბაჯო (82 ასპრილია), კრიპა, ძოლა, ბრანკა

1:0 პორინი (11)

გაფრთხილება: სოუზა, კრიპა, მუსი

34 140 მაყურებელი

ამ სეზონში „იუვენტუსმა" და „პარმამ" იმდენი ქნეს, თუკი სადმე, რომელიმე შეჯიბრებაში ერთად მონაწილეობდნენ, ყველგან შეხვდნენ ერთმანეთს. ამ ორი გუნდის კლასზე და, შესაბამისად, ზემოხსენებულ ტურნირთა დონეზე სიტყვის გაგრძელება მკრეხელობაა.

იტალიის ჩემპიონატში ტურინელებმა ორივე თამაში მოიგეს: სტუმრად — 3:1, შინ — 4:0. უეფას თასის ფინალში პარმელებმა შური იძიეს — (1:0, 1:1), და, აი, ახლა ერთმანეთს გადაკიდებული წყვილი იტალიის თასის ფინალშიც დაპირისპირდა. ტურინის „სტადიო დელე ალპიზე", რომ გითხრათ, მეტისმეტად ლამაზი მატჩი შედგაო, არ იქნება მართალი. ეს იყო ორი ზედმიწევნით დახვეწილი, ძლიერი გუნდის დაძაბული ჰაექრობა, სადაც ყველაფერი ერთმა გოლმა გადაწყვიტა. მე-11 წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი რპორინიმ თავით ბადეში გაახვია. ამ მომენტში მეკარე ბუჩი გამოსვლისას შეცდა და თავისსავე მცველს შეახტა. მატჩში, ცხადია, სხვა მომენტებიც იყო: „იუვენტუსმა" ძელს მოარტყა, თავის მხრივ, პარმელმა ძოლამ ჩინებული შესაძლებლობა გააცუდა, მაგრამ მეტი გოლი აღარ გასულა და ანგარიშიც ისეთი დარჩა, კვირას გასამართ საპასუხო მატჩში ორივე მხარეს იმედიანად რომ ტოვებს.

# დიაცთა დიდი ბურთაობა

ქალთა ფეხბურთის ავან-ჩავანზე, მართებულობასა და მიმზიდველობაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, უბრალოდ, თუ არ იცით, გაცნობებთ, რომ მეხუთე დღეა, რაც შვედეთში მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. მერამდენე ჩემპიონატია? ფიფას ეგიდით პირველი, ისე კი, თუ 1970 წელს იტალიელთა ძალისხმევით მოწყობილ არაოფიციალურ პირველობასაც ჩავთვლით და მის მერე გამართულ მსოფლიოს თასის შეჯიბრების მაგვარ კიდევ რამდენიმე ტურნირს, მეოთხე ან მეხუთე. მოკლედ და კონკრეტულად — მეორე. ის, რასაც ნაღდი მსოფლიოს ჩემპიონატი ჰქვია, თავისი შესარჩევი ჯგუფებით, შემდეგ გამარჯვებულთა ერთ ქვეყანაში თავმოყრით და თასის იქ, ორგანიზებულად გათამაშებით, პირველად 1991 წელს მოეწყო. განსხვავება ის არის, რომ მაშინ შეჯიბრებას ტკბილეულის მწარმოებელი ფირმა **M&M'S** თაობდა. ფინალური ეტაპი ჩინეთში გაიმართა, სადაც ჩემპიონობა შეერთებული შტატების გუნდმა მოიპოვა (ფინალი აშშ — ნორვეგია 2:1) და დღეს ოფიციალურად იცავს ტიტულს. ჩემპიონატში, რომელიც 18 ივნისს დამთავრდება, ისევე როგორც ოთხი წლის წინ, 12 გუნდი მონაწილეობს. ისინი სამ ჯგუფად დაყვეს, თითოში ოთხი გუნდით. მეოთხედფინალში პირველ და მეორე ადგილებზე გასულების გარდა ორი უკეთესი შედეგის მქონე მესამე გუნდიც ითამაშებს. მონაწილეთათვის დამატებითი სტიმული საგაისოდ ატლანტის ოლიმპიადაზე ავტომატური გასვლაც იქნება. კიდევ ერთი სიახლე წუთშესვენებებია. მწვრთნელებს თითოეული ტაიმის პირველ ოცდახუთ წუთში ნება ეძლევათ თითოჯერ შეაჩერონ თამაში, რაც მატჩში მაქსიმუმ ოთხ წუთშესვენებას შეადგენს. ამბობენ, ეს ტელერეკლამების ჩასართავად მოგონილი ხრიკიაო, მაგრამ გუნდების ხელმძღვანელები სხვა აზრისანი არიან. სხვათა შორის, ჩემპიონატის შეხვედრები, რომლებიც გავლეში, ჰელსინგბორში, კარლსტადში და ვასტერასში მიმდინარეობს (სტოკჰოლმში მხოლოდ ფინალი გაიმართება), ტელევიზიითაც გადაიცემა და მსოფლიოში საკაბელო პროგრამებისა თუ თეფშ-ანტენების მქონეთ მათი დიდი ნაწილის ხილვა შეუძლიათ. გაირკვა, რომ პირველობა ფიფას გარკვეულ კომერციულ მოგებას მოუტანს, წინა წლებთან შედარებით საინფორმაციო საშუალებანიც მეტად დაინტერესდნენ, მაგრამ, ბუნებრივია, რომ შეჯიბრების პოპულარობა მეტად შეზღუდულია. ამის დასტურად ისიც კმარა, რომ ფინალისტ გუნდებს ორ კვირაში ექვსი თამაში უწევთ, რასაც მიფუჩეჩების ელფერი დაჰკრავს.

ახლა თავად მონაწილე გუნდებზე: მეორე ჯგუფში ფავორიტი აშკარაა — ნორვეგია, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, რომელიც აშშ-ს თოთხმეტჯერ შეხვდა და ცხრაჯერ მოუგო კიდეც, მაგრამ წინა ჩემპიონატის ფინალში დამარცხება გულზე მძიმედ აწევს. გუნდს კარგი დაცვა და გამთამაშებელი ჰეიდი სტორი ჰყავს. ნორვეგია ორგზის ევროპის ჩემპიონია. მასთან ერთად არიან კანადა, რომლის სტილი აშშ-ისას ჰგავს, მაგრამ მოთამაშეები კლასით დაბალნი არიან (გუნდის თავდამსხმელი შარმან ჰუპერი, კანადის ვაჟთა ნაკრების ფორვარდის ლინდონ ჰუპერის დაა და იაპონიაში თამაშობს), ინგლისი, რომელსაც აშკარად ვერ ექნება რამე პრეტენზია და ნიგერია, ასპარეზზე ახალგამოჩენილი გუნდი, რომლის შესახებ არავინ არაფერი იცის, გარდა იმისა, რომ იგი სამხრეთაფრიკული კლუბით არის გაძლიერებული და სამხრეთ აფრიკა-ნიგერია ჰქვია.

პირველ ჯგუფში [illegible] მასპინძელი შვედეთი. [illegible] ნსონს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ნახ[illegible] ქტორს [illegible] ძლიერი ახალგაზრდები უმშვენებენ, შეტევაში კი შუა ხაზის წამოწყებულ საქმეს ჰელენ იუჰანსონი და ანელი ანდელენი აგვირგვინებენ. იმავე ჯგუფში თამაშობს გერმანია, გუნდი, რომელიც, მიმომხილველთა თქმით საოცრად ჰგავს თანამემამულე ვაჟთა ნაკრებს. ბრაზილიას ძლიერი თავდასხმა და სუსტი დაცვა ჰყავს. გუნდის გოლეადორია მაიკლ (ან მიშელ) ჯექსონი, იგივე მარილეია დოს სანტოსი (ბრაზილიელთა სახელებსა და მეტსახელებს შეჩვეულებს მაიკლ ჯექსონი კი არა, სოსო პავლიაშვილი რომ წაგვეკითხა, არ უნდა გაგვკვირვებოდა). მის გარდა ნაკრებს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი სისი აძლიერებს. რაც შეეხება იაპონიას, დიდი არაფერი გუნდია. საინტერესო მხოლოდ ის არის, რომ ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირი კაორი ნაგამინე (54 შეხვედრაში 44 გოლი) იტ[illegible]ის „რეჯანაში" ასპარეზობს.

მესამე ჯგუფის მთავარი გუნდი უდაოდ აშშ-ია. ამერიკელები, ფაქტობრივად, ძველი გუნდით არიან შვედეთში ჩასულები. საუკეთესო ბომბარდირი კვლავ მიშელ აკერსია. ნახევარმცველები კრისტინ ლილი და მია ჰემი 1993 და 1994 წლების ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელები არიან. ვეტერანი კარლა ოვერბეკი ძველებურად დაცვის ბურჯია, მეკარე ბრაიანა სქური კი ამ ათლეტური ნაკრების ყველაზე ათლეტური წევრია. მსოფლიოს ჩემპიონებს ჯგუფში ჩინელები ჰყავთ. მა იუნანის გუნდს დიდებულად შეუძლია ასპარეზობა. სპეციალისტთა აზრით, ჩინელთა თამაში ძლიერ ჰგავს კიევის „დინამოს" საუკეთესო წლებში. ავსტრალია მეოთხედფინალში გასვლას ოცნებობს, დანია კი ურიგო გუნდი არ გახლავთ, მაგრამ დიდად არის დამოკიდებული ნახევარმცველ ჰელე იენსონის თამაშზე.



აშშ-ის 1994 წლის საუკეთესო ფეხბურთელი მია ჰემი

ილია ბაბუნაშვილი

ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი

„ა" ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 5.06.95 | გერმანია — იაპონია | 1:0 |
| 5.06.95 | შვედეთი — ბრაზილია | 0:1 |
| 7.06.95 | შვედეთი — გერმანია | 3:2 |
| 7.06.95 | ბრაზილია — იაპონია | 1:2 |
| 9.06.95 | შვედეთი — იაპონია | |
| 9.06.95 | ბრაზილია — გერმანია | |

„ბ" ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 6.06.95 | ნორვეგია — ნიგერია | 8:0 |
| 6.06.95 | ინგლისი — კანადა | 3:2 |
| 8.06.95 | ნორვეგია — ინგლისი | |
| 8.06.95 | ნიგერია — კანადა | |
| 10.06.95 | ნორვეგია — კანადა | |
| 10.06.95 | ნიგერია — ინგლისი | |

„გ" ჯგუფი

| | | |
|---|---|---|
| 6.06.95 | აშშ — ჩინეთი | 3:3 |
| 6.06.95 | დანია — ავსტრალია | 5:0 |
| 8.06.95 | აშშ — დანია | |
| 8.06.95 | ჩინეთი — ავსტრალია | |
| 10.06.95 | აშშ — ავსტრალია | |
| 10.06.95 | ჩინეთი — დანია | |

მეოთხედფინალები: 13.06.95 (კენქისყრა ჯგუფის შედეგებზეა დამოკიდებული)

ნახევარფინალები: 15.06.95

მე-3 ადგილისთვის: 17.06.95

ფინალი: 18.06.95

# გაბელია, მუჯირი, შენგელია, მესხი...

ამ გვარების გაგონება იყო და აზერბაიჯანის პატარა ქალაქ თაუზის სტადიონზე დიდი ტაშისკვრა ატყდა. გიორგი გაბელია ოთარ გაბელიას ვაჟია, დათო მუჯირი — დავით მუჯირისა, გიორგი შენგელიაც რამაზ შენგელიას ძეა, მიხეილ მესხი კი სახელოვანი დინასტიის სეხნიაცაა და მოგვარეც...

ამ ერთი შეხედვით უბადრუკ და გამოცარიელებულ, არ ვიცი, დაბა, არ ვიცი, რაიონში, მატჩის დაწყებამდე ორი საათით ადრე ხალხმა სტადიონისკენ იწყო დენა და ნახევარსაათში 5 ათასმა კაცმა ტრიბუნები შეავსო, მინდორი კი ისე მშვენივრად გამოიყურებოდა, როგორც ჩვენი ეროვნული სტადიონის მოედანი გერმანელებთან თამაშის წინ. არადა, საოცარი ის გახლდათ, რომ ქართველ ჟურნალისტთა ხუთეულმა მანამდე მთელი „ქალაქი“ შემოვიარეთ და წყლის ნასახს ვერსად მივაგენით.


ფუად მუსაევი

მატჩის წინ ძველი ნაცნობი, აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციათა ასოციაციის პრეზიდენტი, ფუად მუსაევი შევნიშნე და გამოვესაუბრე.

— ბატონო ფუად, გული მიგრძნობს, მატჩის მოთავე თქვენ უნდა ბრძანდებოდეთ.

— ასეა. გეხსომებათ, მე მუდამ ჩვენი საფეხბურთო ორგანიზაციების მჭიდრო კავშირის მომხრე ვიყავი. რა ხარჯები უნდა, საზღვრისპირა ქალაქში, ჩვენთან თუ თქვენთან, ასეთი დონის ამხანაგური მატჩების მოწყობას?! ამგვარი შევხვედრების სიკეთეში ჩვენი ნაკრების ევროჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფების ცხრილებიც დაგვარწმუნებს: ჩვენ რომ მანამდე ხუთჯერ-ექვსჯერ შეხვედროდით, თქვენც მეტი ქულები გექნებოდათ და არც ჩვენ დავარიგებდით ამდენს. რუმინეთის ნაკრებთან წაგების მერე ანგელ იორდანესკუმ მითხრა, ჩინებული გუნდი გყავთ, შეთამაშებულები რომ იყოთ, 13-14 ქულას აიღებდითო. თქვენ კი ალბათ ინგლისის ჩემპიონატის საგზურსაც მოიპოვებდით. მე მუდამ ვთხოვდი თქვენებს, ხშირ-ხშირად გვეთამაშა ამგვარი მატჩები. ჩვენ მეტიც არავის გვინდა. თუ კონტაქტები გახშირდება, დარწმუნდებით ჩემი სიტყვების სისწორეში...

— კორლალიძის, მისი „ნეფთჩი“ თასის ფინალში იყო. თასი ხომ არ აუღია?

— წელს ბევრჯერ ვნახე „ნეფთჩის“ თამაში. კორლალიძისნაირი ტექნიკური და ჭკვიანი ფეხბურთელი აზერბაიჯანში იშვიათია. რაც ითამაშა, მოგებებში თავისი წვლილი შეიტანა, ის კი არა, მწვრთნელს ერთი-ორჯერ უდროოდ რომ არ გამოეცვალა, საჩემპიონო ქულებსაც არ დაჰკარგავდა. გიანჯაში მაგათ მწვრთნელს ვუთხარი, რას სჩადიხარ, კორლალიძეს რომ ცვლი, დაისჯები-მეთქი. ასეც მოხდა. სწორედ კორლალიძემ „გააკეთა“ ის გადამწყვეტი გოლი, ნაკრების კაპიტანმა ჰუსეინოვმა რომ შეუგდო ფინალში „მინგეჩაურს“ და „ნეფთჩი“ თასის მფლობელი გახადა.

„ნეფთჩისა“ და ამ ქალაქის, თაუზის „თურანის“ საჩემპიონო „ჭიდაობა“ გიანჯის „ქიაფაზმა“ კარგად გამოიყენა და ერთი ხანობა რომ ჩრდილში იდგა, ბოლოს ისე გაიჭრა წინ, ვერავინ დაეწია. ჩემპიონატი 14-მა გუნდმა დაიწყო, მაგრამ ორი დაგვეშალა. სამწუხარო იყო ლენქორანის „ხაზარის“ დაშლა, მათ სტადიონიც ჩინებული აქვთ, ბაზაც, ტრადიციაც, მაგრამ ხელმძღვანელთა უგუნურობის გამო გუნდი მოისპო. ჩვენთან ახლა ფინანსურად ისე არ ჭირს, ამგვარი რამ რომ მოხდეს. თანაც, ჩემი განკარგულებით გასვლით მატჩებზე ავტობუსს უფასოდ აძლევდნენ. ახლა უმაღლესში 12 გუნდი დარჩა, მაგრამ პირველი ჯგუფიდან არავის ვუმატებ. მეზედმეტება და თუ 10 გუნდამდე შევამცირე, ოთხ წრედ ვათამაშებ და ჩვენს ბედს ძალლი არ დაჰყეფს.

— ადრე ხშირად სტუმრობდით ფიფასა და უეფაში, ბევრჯერ წალმა შემოგიტრიალებიათ უკულმა წასული თქვენი საქმეები...

— ახლაც ამას ვცდილობთ, ინტერტოტოზე ჩვენ ომის გამო შანსი არ გვქონდა, მე კი მაინც ოთხ გუნდზე ვჭიდაობდი, თქვენი კი მიკვირს, პატარა ფხა რომ გამოგეჩინათ, ამ ტურნირის საგზური ჯიბეში გედოთ. აგვისტოს ბოლოს იუჰანსონი, აიგნერი და ჩვენი ქვეყნების კოორდინატორი ერიჰ ეპლე ჩამოდიან ბაქოში, როგორც ვიცი, 28 აგვისტოს თბილისსაც ეწვევიან, თუ ვივარგეთ, ამ სტუმრობიდან ბევრი სასარგებლოს გამოწურვა შეგვიძლია...

| ჭაბუკთა ამხანაგური მატჩი. თაუზი, 5 ივნისი |
| --- |
| **აზერბაიჯანი 1:1 საქართველო** |
| აზერბაიჯანი: ისაევი, ე.მამედოვი (ახვერდიევი 87), ფაშაევი, ჰასანოვი, ბაირამოვი, ისმაილოვი, ფ.მამედოვი, ველიევი, რახმანოვი (გილაეტოვი 80), ტაგი-ზადე (ნაგიევი 75), მაგერამოვი |
| საქართველო: მიქავა — ზუგდიდი, დავითნიძე — მრეტები, ჭანკოტაძე — ავაზა, კალაძე — დინამო, მუჯირი — დინამო (ბოჯგუა — მრეტები, 80), მესხი — ავაზა, ა. სახვაძე — მრეტები, აშოთია — მრეტები (ჩხეტიანი — სამგურალი, 63), მ.სახვაძე — აზოტი (ცოტაძე — მრეტები 87), ალექსიძე — მრეტები (შენგელია — დინამო 63), დავითაშვილი — მერანი |
| 1:0 ფიზული მამედოვი (7), 1:1 მიხეილ მესხი (15) |
| მსაჯი: ჰ.მამედოვი (აზერბაიჯანი) |

...თბილისიდან ნაკრებს ამგზავრებულმა ჟურნალისტებმა თამაშის წინ ჩვენი გუნდის მთავარ მწვრთნელს ნიკა ამირეჯიბს მცირე პრეს-კონფერენცია მოვუწყეთ.

— უსახსრობის გამო თბილისში ერთდღიან „შეკრებებს“ ვუწყობთ. კლუბების სახსრებით ჩამოსულ ფეხბურთელებს და რვა მატჩიც ვეთამაშეთ უკვე „მრეტებს“, „შევარდენს“, ოლიმპიურ ნაკრებს. ეს პირველი საერთაშორისო მატჩია. ეგებ ოქტომბრამდე, სანამ ჩვენ ავსტრიაში გავემგზავრებით შესარჩევ თამაშებზე, აზერბაიჯანელები რუსთავში მოვიწვიოთ და საპასუხო მატჩი ვეთამაშოთ. 20 ივნისიდან კი ქუთაისში ორკვირიან შეკრებას მოვაწყობთ, „ტორპედო“ ბაზას გვითმობს...


მიხეილ მესხის გოლი

— გვაკლია ტრავმირებული მიხეილ აშვეთია, ფიზიკურად სუსტად მყოფი დავით პეტრიაშვილი, ზუგდიდელი კობა წიტაიშვილი და სამტრედიელი ვაშაკიძე, უელსს წასული იაშვილი, მიხეილ ასათიანს ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაციიდან ორი კიდევ დარჩა, გორელმა პაატა ფეზეაშვილმა კი მეორე გაფრთხილება მიიღო და ერთი მატჩი უნდა გამოტოვოს, ამიტომაც ნაკრებში არ ავიყვანე.

— ჩემი აზრით, კარგი თაობაა, ამ ბიჭებით, თუ სერიოზულად მოვემზადეთ, შეიძლება წარმატებაზე ფიქრი, არადა, ჯერ ვერცერთმა ჩვენმა ნაკრებმა ვერ მოიპოვა შემდგომ ეტაპზე გასვლის უფლება, ჩვენ რომ წყალი და საჭმელი გვენატრება, უცხოელებს მასტიმულირებელი და ალმდგენი საშუალებების დიდი არჩევანი აქვთ. თუმცა, დროა, წარმატებაზეც ვიფიქროთ, ამისთვის კი ბევრი რამ უნდა შევცვალოთ, მინდა 4-4-2-ის ნაცვლად 3-5-2 ტაქტიკური სქემით ვითამაშოთ. დღეს თქვენ ამ ექსპერიმენტის მომსწრე იქნებით.

— ჩვენი ნაკრები პირველ შესარჩევ ჯგუფში მოხვდა, ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი და ფინალები გაისად მოეწყობა. ჩვენი ჯგუფის თამაშები ავსტრიაში გაიმართება, 18 ოქტომბერს მასპინძლებს ვხვდებით, 20-ში კი იუგოსლავიას. პირველი მატჩი გადამწყვეტი იქნება, რადგან მასპინძლები აქამდე მუდამ დიდ უპირატესობას იღებდნენ, მსაჯობის მხრივაც...

— ჭაბუკთა და იუნიორთა ფეხბურთის ჩავარდნა გაჭირვების გარდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ბრალიცაა: ცხინვალის რეგიონის ორი-სამი ბიჭი მუდამ მყავდა, აფხაზეთიდან ხომ ნულა იტყვით. შესუსტდა მუშაობა სამეგრელოშიც, არადა, ნაკრებში სწორედ იქაურთათვის ჩვეული ენთუზიაზმი და ჟინია საჭირო, სხვანაირად არ გამოვა. ქუთაისელი თუ არა გყავს, რა ნაკრებია? ლერი ვერულიძის ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ აჭარაში ჩაკვდა ბავშვთა ფეხბურთი, ასევეა გურიაშიც. ფაქტიურად თბილისის ნაკრები გამოგვდის. არადა, ნაკრები თაიგულივით უნდა იყოს: თბილისელები და სხვა კუთხეთა წარმომადგენლები 50-50 პროცენტს უნდა შეადგენდნენ...

...საქართველოს ბევრი ახალგაზრდული ნაკრების თამაში მინახავს ამ ხუთი წლის განმავლობაში, მაგრამ ასეთი სიამოვნება არ მიმიღია. ათლეტური, ტექნიკური ბიჭები არიან, მიუხედავად იმისა, რომ აშკარად შესამჩნევი იყო მათი შეუთამაშებლობა, თანამედროვე ფეხბურთს თამაშობდნენ. კალაძე ისე გამოირჩეოდა ოცდაორ კაცში, როგორც ხე ტრამალში: ართმევაზეც კარგად თამაშობდა, დაზღვევაზეც და შეტევებშიც ხშირად ერთვებოდა, თანაც ტანკივით მიჰქონდა ყველა და ყველაფერი. მომეწონა თავდამსხმელთა წყვილი: ტანდაბალი სულიკო დავითაშვილი ტექნიკურად და რაც მთავარია, გონივრულად თამაშობდა, ტანმაღალი რატი ალექსიძე კი ყველა მისკენ გაგზავნილ ბურთს ეუფლებოდა, ეგ იყო, გაგრძელებას ვეღარ ახერხებდა ხეირიანად. მის მაგივრად გამოსულმა გიორგი შენგელიამ კი ყველა გააოცა, ისე თავხედურად უტევდა. ორი კაცის მოტყუება მისთვის არაფერი გახლდათ, ჰოდა, აკი ბლომადაც უთავაზეს კოჭებში, ერთხელ კი პატარა სასწაულიც ჩაიდინა: ჰაერში დაიჭირა საჯარიმოში ჩაკიდული ბურთი, თავით გაისწორა, მკერდით შეიგდო, ორი მეტოქე მოატყუა და ძლიერად დაარტყა კარში, მეკარე ოდნავ შესწვდა ბურთს, რომელიც ძელს მოხვდა და კარის ხაზზე გაგორდა. მოკლედ, ახალი „რამაზი“ გვეზრდება. დათო მუჯირი კარგად ხედავს მინდორს, პასიც იცის, ეგაა, სათამაშო დისციპლინაში მოიკოჭლებს, თორემ მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია გუნდისთვის. აღსანიშნავია, რომ პირველად გამოჩნდა ქართულ ფეხბურთში აუტის ხეირიანად მომწოდებელი: არჩილ სახვაძე ნებისმიერი წერტილიდან საჯარიმოში აგდებს ბურთს. მიხეილ მესხი დიდი სეხნიისგან განსხვავებით საპირისპირო ფლანგზე რომ მოქმედებდა, მართლაც ჩინებული საყურებელი იყო. მან მთელი ფლანგიც აიკლო და გოლიც კარგი გაიტანა: ბურთი მიწაზე დაუშვებლად დაამუშავა, მცველი ფინტით მოიტოვა და 20 მეტრიდან ცხრიანში „ჩასვა“.

მანამდე კი: აზერბაიჯანელებმა მეტად აქტიურად დაიწყეს თამაში და საწადელსაც მალე მიაღწიეს — მარჯვენა მხარეს დანიშნული ჯარიმა აზერბაიჯანელთაგან საუკეთესო ფიზული მამედოვმა ჩინებულად გამოიყენა. მისმა მოგვარე მატჩის არბიტრმა კი, ფიფას მსაჯმა ისე მიკერძოებით იმსაჯა, სხვას რომ ეთქვა, არ დავიჯერებდი. ყველა შეჯახება აზერბაიჯანელთა სასარგებლოდ დანიშნული ჯარიმა იყო, ოცჯერ მაინც შეაჩერა ჩვენების შეტევა და თავისიანებს სულის მოთქმის საშუალება მისცა, იმდენი ქნა, ადგილობრივი მაყურებელიც კი აღაშფოთა და ამათაც გინება დაუწყეს.

ნაკრებმა უთამაშებლობისა და შეუთამაშებლობის კვალობაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ეგაა, ცენტრში ქინქლაძისა და ანჩაბაძის ყაიდის ფეხბურთელი აკლიათ, ისეთი, შეტევას რომ ნორმალური კალაპოტით წარმართავს და თამაშს დაალაგებს. ჩემი დაკვირვებით, მიხეილ ასათიანს ეს კი შეუძლია, მაგრამ დისკვალიფიკაციის გამო ამ ტურნირს გამოაკლდება. ამიტომაც ამ ადგილზე დათო მუჯირის გამოყენება შეიძლება, ოღონდ მან ზუსტად უნდა შეასრულოს მწვრთნელის მითითება. სხვა მხრივ კი ნაკრები შეთამაშდება, მოემზადება და უფიქრიან, ... შესარჩევ ჯგუფში, შემდგომაც არ შერცხვება.

**მამუკა კვარაცხელია**

თაუზი — თბილისი

ავტორის ფოტოები

| საქართველოს ჩემპიონატი | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| **პირველი ჯგუფი** | | | | | | |
| ფეხბურთის ფედერაციამ გააუქმა ბოლო ტურის ორი მატჩის შედეგი (კოლხეთი 1913 — სამგურალი 10:5; ტორპედო — საპოვნელა 11:4). ოთხივე გუნდს ჩაეთვალა წაგება, გოლები გაუქმდა | | | | | | |
| საბოლოო ცხრილი | | | | | | |
| დინამო | 30 | 25 | 3 | 2 | 125-33 | 78 |
| სამტრედია | 30 | 24 | 2 | 4 | 75-25 | 74 |
| კოლხეთი | 30 | 20 | 3 | 7 | 72-28 | 63 |
| ბათუმი | 30 | 16 | 6 | 8 | 69-40 | 54 |
| ზუგდიდი | 30 | 14 | 4 | 12 | 58-54 | 46 |
| ტორპედო | 30 | 14 | 2 | 14 | 58-47 | 44 |
| მეტალურგი | 30 | 12 | 8 | 10 | 48-37 | 44 |
| დილა | 30 | 10 | 7 | 13 | 25-35 | 37 |
| მარგვეთი | 30 | 10 | 6 | 14 | 35-53 | 36 |
| შევარდენი | 30 | 8 | 8 | 14 | 35-48 | 32 |
| ივერია | 30 | 9 | 4 | 17 | 42-58 | 31 |
| კახეთი | 30 | 7 | 10 | 13 | 37-59 | 31 |
| გურია | 30 | 8 | 6 | 16 | 36-81 | 30 |
| დურუჯი | 30 | 8 | 3 | 19 | 28-65 | 27 |
| საპოვნელა | 30 | 6 | 6 | 18 | 34-76 | 24 |
| სამგურალი | 30 | 5 | 6 | 19 | 30-68 | 21 |

**მესამე ჯგუფი**

16-ე ტური, 15 მაისი: ნიკეა — იბერია (ქ) 1:2, პროგრესი — ენერგეტიკოსი 3:5, იბერია (თბ) — ყინერი 3:4,

17-ე ტური, 24 მაისი: პროგრესი — ნიკეა 3:0 (არ გამოცხადდა), ცხინვალი — რწმენა 2:2, ყინერი — იბერია (ქ) 4:0

18-ე ტური, 2 ივნისი: ნიკეა — ყინერი 3:6, რწმენა — ენერგეტიკოსი 0:0, იბერია (თბ)) — ცხინვალი 3:0 (არ გამოცხადდა))

| საბოლოო ცხრილი | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| იბერია (ქ) | 14 | 9 | 3 | 2 | 23-13 | 30 |
| ყინერი | 14 | 8 | 3 | 3 | 37-24 | 27 |
| ენერგეტიკ. | 14 | 7 | 5 | 2 | 37-8 | 26 |
| რწმენა | 14 | 7 | 5 | 2 | 25-10 | 26 |
| იბერია (თბ) | 14 | 6 | 4 | 4 | 25-19 | 22 |
| ცხინვალი | 14 | 3 | 6 | 5 | 17-20 | 15 |
| პროგრესი | 14 | 1 | 1 | 12 | 16-41 | 4 |
| ნიკეა | 14 | 1 | 1 | 12 | 11-56 | 4 |

# ქართველი ბაჯოს გოლები



რონინ კერძევაძე, მეტსახელად „ბაჯბაჯა“, მოკლედ კი — „ბაჯო“, ფეხბურთს კარგა ხნის ჩამოშორებული იყო, კვიპროსიდან ნოდარ აკობიას პირით რომ შემოუთვალეს, ჩამოდი, გვჭირდებიო. ისიც ყოფილ ცხუმელ თეიმურაზ გადელიასთან ერთად ბედის საძებნელად წასულა, ჰოდა, ბაჯბაჯასაც საკონტროლო თამაშში ჰეთ-თრიქი რომ შეუსრულებია, „არადიპუს“ „ომონიას“ ხელმძღვანელებს მყის კლუბში ჩაურიცხავთ. გადელია კი ტრავმის მერე ფორმაში ვერ იყო და შინ დაბრუნებულა.

„არადიპუს“ თამაშისას ტელეკომენტატორი ლამის ერთადერთ სახელს — „რონინს“ იძახდა. ქართველი ლეგიონერი მართლაც მარტო თამაშობდა და თუკი რამ სახიფათო იქმნებოდა „არადიპუს“ მეტოქის კართან, მხოლოდდამხოლოდ რონინ კერძევაძის წყალობით...

**— რონინ, რამდენი გოლი გაიტანე?**

— ჩემპიონატში 30 შეხვედრა ვითამაშე და 11 გოლი გავიტანე, ჩემი წაქცევისთვის დანიშნული პენალტები არ დამითვლია. თასზე კი ხუთი გოლი შევაგდე. ბოლო ადგილზე კი გავედით, მაგრამ დივიზიონში მაინც დავრჩით, რადგან კვიპროსის ფედერაციამ წელს ორი გუნდი დაამატა და გუნდების რაოდენობა თოთხმეტამდე გაზარდა. გუნდების დამატების ფაქტი უნიკალურია, რადგან კვიპროსის ფედერაციას დებულება აქამდე არასოდეს დაურღვევია...

**— ყიზილაშვილისა და გოგრიჭიანის გუნდის, ნიქოზიის „ომონიას“ ფინიშზე წაფორხილება რისი ბრალია?**

— მთავარი ყიზილაშვილის ტრავმა იყო. გადამწყვეტ მატჩში „არისთან“ დათოს ხუთი გამაყუჩებელი ნემსი გაუკეთეს. პენალტი კი დაიმსახურა, მაგრამ ფეხი ისე დაუშავეს, არათუ ეს ვერ დაარტყა, თამაშის გაგრძელებაც ვერ შეძლო — კუნთი გაუწყდა. ამას მწვრთნელთან გოგრიჭიანის კონფლიქტიც დაემატა და „ომონიამაც“ დაკარგა საჩემპიონო ქულები. გოჩამ მიატოვა გუნდი, „ანორთოსისი“ ეპატიჟება.

**— სხვა ჩვენებურებზე რა იცი?**

— ჭედია გვიან ჩამოვიდა, ტრანსფერების ვადა უკვე ამოწურული იყო, ამიტომაც მთელი წელი ვარჯიშში გაატარა და ახლა ისრაელის ერთ-ერთ გუნდში მიდის. გოდერძი ნატროშვილმა, მინი-ფეხბურთში „გოდოლად“ რომ იცნობენ, იმის გამო, რომ მეხუთე ტურზე ჩამოვიდა, კონტრაქტი ვერსად გააფორმა და ოცდაათამდე საკონტროლო შეხვედრა ითამაშა. თავიდან ჩემპიონ „ანორთოსისს“ უნდოდა მისი აყვანა, მაგრამ გადაიფიქრა და ახლა ლარნაკის “ალკიში“ გადავიდა, სადაც ადრე დათო მახარაძე თამაშობდა. კუდინოვი „არისის“ ხერხემალია, მას „ალკი“ და „ოლიმპიაკოსი“ ეპატიჟებიან.

**— კვიპროსზე მეტად უხეშ ფეხბურთს რომ თამაშობენ, რა არის ამის მიზეზი?**

— პირველ რიგში, მსაჯების ბრალია, ზღვრამდე ათამაშებენ. კვიპროსზე ასეთი წესია, ფეხბურთელი თამაშს მხოლოდ ოთხი გაფრთხილების მერე ტოვებს, მეორე თამაშს კიდევ სამი გაფრთხილების მერე. ორი ტაიმი ცხენებივით დარბიან, თანაც ლეგიონერს, თუ თავდამსხმელია, უეჭველად ერთი კაცი დარაჯობს. თორმეტივე გუნდი იბრძვის, ვერ გაარკვევ, ვინ ლიდერია და ვინ — აუტსაიდერი.

**— სხვა კლუბები თუ გეპატიჟებიან?**

— კვიპროსში — „ანორთოსისი“ და „აპმა“. „ანორთოსისს“ 5:3 მოვუგეთ, ორი გოლი გავიტანე, ერთიც — პენალტი დავიმსახურე. ამ თამაშს უცხოელები უყურებდნენ და ჩემს მენეჯერს — ანდრეას მაკრისს ისრაელის ჩემპიონ თელ-ავივის „მაკაბიში“ და საფრანგეთის ერთ-ერთ კლუბში შესთავაზეს ჩემი წაყვანა. ჯერჯერობით ერთი წელი ჩემს გუნდში ვრჩები.

**— სერბი გოგიჩი გაკვიპროსელდა, დუდიჩიც მალე მის გზას დაადგება, შენთვისაც ხომ არ შემოუთავაზებიათ კვიპროსის მოქალაქეობა?**

— არაერთხელ, მაგრამ კატეგორიული უარი განვუცხადე.

**— უკან როდის ბრუნდები?**

— თვის ბოლომდე აქა ვარ, დავთქვით, 11 ივნისს ზურაბ მაისურაძის აღზრდილები ორიოდ დღით კვლავ ერთად შევიკრიბოთ ჩვენს მასწავლებელთან, ასე ვთქვათ, ახალგაზრდობა გავიხსენოთ. ჩემი გუნდის კაპიტანი, ნიკოს ილია მყავდა ჩამოყვანილი, ისე დამიახლოვდა, მეჯვარედ წავიყვანე. საქართველოზე არაფერი იცოდა და ამ რამდენიმე დღეში გადარეული წავიდა აქედან. არავისზე ნაკლებნი არა ხართ და სხვებზე უარესად რატომ ცხოვრობთ, გამაგებინეო, მეკითხებოდა...

**მამუკა კვარაცხელია**



## «სიხარულს» უფრო გაუხარდა

ამ ბიჭუნებმა პირველად იასპარეზეს ოფიციალურ შეჯიბრებაში და პირველად განიცადეს ის დიდი სიხარული, რომელიც გამარჯვებას მოსდევს.

ტურნირში, რომელიც საფეხბურთო კლუბ „სიხარული-93“-ის თაოსნობით ჩატარდა და უკანასკნელ წლებში სამშობლოსთვის დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნა, მონაწილეობდნენ „ავაზას“ ორი გუნდი, „ამიკო“, „სინათლე“, „კავკასიონი“, „მერანი“, აისი“ და „სიხარული“. მასპინძელმა, „სიხარულმა“ მხოლოდ ერთი შეხვედრა ითამაშა ფრედ — „ამიკოსთან“, დანარჩენები მოიგო (გადამწყვეტ თამაშში დაამარცხა „ავაზა“ — 1:0) და პირველ ადგილზე გავიდა.

## «მაისი» ივნისშიც ყოჩაღია

მიხეილ მესხის სახელობის თასის (წლეულს 1979-1980 წლებში დაბადებულ მოზარდებს შორის რომ გათამაშდა) ფინალში ერთმანეთის პირისპირ ძველი მეტოქეები — „მაისი“ და „ვაკე-91“ წარდგნენ. უშელავათო ბრძოლა მთელი თამაშის მანძილზე არ შეწყდარა და გოლებიც ისეთი გავიდა, ნებისმიერ თამაშს რომ დაამშვენებდა. „მაისის“ სამივე უპასუხო გოლი თამაშის მეორე ნახევარზე მოდის. გამარჯვებულთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თავდამსხმელები დავით გოგოლაძე და გია ფარქოსაძე. ფინალური მატჩის საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული ბექა რეხვიაშვილის სახელობის პრიზი სწორედ ფარქოსაძეს გადაეცა.

რვაათასიანები

# მივდივარ რადგან ევერესტი არსებობს

## ჯომოლუნგმა 8848



დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ჯომოლუნგმაზე თენსინგ ნორგეის და ედმუნდ ჰილარის გამარჯვებას მართლაც უდიდესი, არნახული და არგაგონილი პატივი ხვდა წილად. მაშინ, 1953 წლის 9 მაისს, 12 საათსა და 30 წუთზე, მთამსვლელთა მრავალწლიანი იერიშების შემდეგ ჯომოლუნგმაზე პირველ ასვლას ისეთივე (თუ მეტი არა) მნიშვნელობა მიენიჭა, როგორიც ჩრდილო და სამხრეთ პოლუსების დაპყრობას. ამიტომაც ედმუნდ ჰილართან და თენსინგ ნორგეისთან შესახვედრად ილტვოდნენ პრემიერ-მინისტრები, პრეზიდენტები, მონარქები და უბრალო ხალხი.

თენსინგს ნეპალის მეფე ტრიბჰუვანამ „ნეპალ ტარასი" (ნეპალის ვარსკვლავი) — ქვეყნის უმაღლესი ჯილდო გადასცა. იგი ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ თავისი ქვეყნის ეროვნულ გმირად გამოაცხადა, ჰილარსა და ექსპედიციის მეთაურს ჯონ ჰანტს კი ინგლისის დედოფალმა ელისაბედმა ამ ქვეყნის უმაღლესი მემკვიდრეობითი ტიტული — ლორდობა უბოძა; თენსინგს ამერიკის ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების მედალი გადასცეს.

იყო სხვა მრავალი პატივი და დაფასება, მაგრამ საზოგადოებაში ატყდა დიდი კამათი, მითქმა-მოთქმა და ჭორებიც გავრცელდა იმის თაობაზე, თითქოს ერთმა მთამსვლელმა, როცა ჯომოლუნგმას წვერზე ბოლო მეტრებს გადიოდნენ, მეორეს... ხელი უჯიკავა, რათა მწვერვალზე პირველს შეედგა ფეხიო.

სულელურ ჭორებსა და უაზრო კამათს ბოლო რომ მოღებოდა, ჰილარიმ და თენსინგმა კატმანდუში ხელი მოაწერეს განცხადებას, რომელიც იუწყებოდა, რომ ორივე თითქმის ერთდროულად ავიდა მწვერვალზე.

ჰილარსა და თენსინგს ერთმანეთში გასაყოფი არაფერი ჰქონიათ, მაგრამ ამ სიტყვამ — „თითქმის", მთლად გადარია ხალხი.

ბოლოსდაბოლოს თენსინგმა თავის წიგნში „მყინვართა ვეფხვი", რომლის ჩინებული ლიტერატურული ჩანაწერი ამერიკელ ჯეიმს რამზაი ულმანს ეკუთვნის, ასე აღწერა მწვერვალზე ასვლის ბოლო ნაბიჯი...

მაგრამ მანამ ბოლო ნაბიჯებამდე მივიდოდეთ, თენსინგმა და ჰილარიმაც მანამდე ბევრი იარეს, დედამიწის უმაღლესმა მწვერვალმაც ადამიანებთან ჭიდილში დიდი თავგადასავლები გადაიტანა და იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში ნიადაგ გამარჯვებული გამოდიოდა, თუმცა, იმ კამათში, მწვერვალზე პირველფეხშედგმული ადამიანის ვინაობის გარკვევას რომ ეხებოდა, მგონი ყველას გადაავიწყდა 1933 წელს ინგლისელთა ექსპედიცია ჰიუგ რატლეჯის მეთაურობით. მაშინ გუნდის წევრებმა ვინ-ჰარისმა და უეჯერმა 8450 მეტრის სიმაღლიდან პირი რომ იბრუნეს, იქვე იპოვეს ვალიური წერაყინი, რომელიც თან ჩამოიტანეს.

საიდან მოხვდა ეს წერაყინი აქ, მწვერვალამდე 398 მეტრის ქვემოთ?

მანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, მოდით, ჯერ გავიცნოთ თვითონ დედამიწის უმაღლესი მწვერვალი, რომელსაც მასზე ასვლებზე არანაკლებ საინტერესო ბიოგრაფია აქვს.

***

სანამ ჯომოლუნგმას დედამიწის სახურავად აღიარებდნენ, უმაღლეს მწვერვალად მიაჩნდათ დჰაულაგირი (8221 მ.), რომელიც გოლიათ მწვერვალთა შორის რიგით მეექვსეა. ერთ დროს დედამიწის უმაღლესი მწვერვალი ეგონათ კანჩენჯანღა (8585 მ.) — ბუმბერაზთა რიგში მესამე.

ჯომოლუნგმა, როგორც უმაღლესი მწვერვალი, 1852 წელს აღმოაჩინეს. აღმოაჩინეს... ქაღალდზე. მაშინ ინდოეთის გეოდეზიური სამსახურის ერთ-ერთი მოხელე საკუთარ თვალებს არ უჯერებდა, როცა ჯომოლუნგმას სიმაღლე გამოიანგარიშა. თავისი ანგარიშის სისწორეში დარწმუნებული ტოპოგრაფიული სამსახურის უფროს ანდრიუ ვოუსთან შევარდა და მოახსენა, სერ, „პიკი მეთხუთმეტე" დედამიწის უმაღლესი მწვერვალიაო.

მანამდე ამ პიკს ჰიმალაის დანარჩენ მწვერვალთა შორის სიმაღლის მიხედვით მეთხუთმეტე ადგილი ეჭირა. გავიდა სულ რაღაც ოთხიოდე წელი და დედამიწის უმაღლეს მწვერვალად რუკებზე გაურიზანკარი აღნიშნეს.

საქმე ისაა, რომ მას შემდეგ, რაც „პიკი მეთხუთმეტე" დედამიწის უმაღლეს მწვერვალად ჩათვალეს, ჰიმალაის სახელგანთქმულმა მკვლევარმა, გერმანელმა გეოგრაფმა ჰერმან ფონ შლაგინტვეიტმა მოსვენება დაკარგა. მან გადაწყვიტა უმაღლესი მწვერვალი საკუთარი თვალით ენახა. შორეულ გზაზე დამდგარმა ხან სად ეძება ჯომოლუნგმა, ხან სად. ჯერ ჯომოლუნგმად მაკალუ (8470 მ.) მიიჩნია, ბოლოს კი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჯომოლუნგმა და გაურიზანკარი ერთი და იგივე მწვერვალია, ოღონდ ადგილობრივი მკვიდრნი სხვადასხვაგვარად ნათლავენო.

ეს სახელწოდება — გაურიზანკარი, ისე დამკვიდრდა, რომ როცა 1903 წელს საგანგებო შემოწმების შემდეგ შეცდომა აღმოაჩინეს, დედამიწის უმაღლეს მწვერვალად მაინც გაურიზანკარი იყო რუკებზე აღნიშნული. არადა, გაურიზანკარი ჯომოლუნგმასაგან 58 კილომეტრითაა დაცილებული და მის სიმაღლე „სულ რაღაც" 7145 მეტრია.

1982 წელს ჯომოლუნგმაზე საბჭოთა მთამსვლელების ექსპედიციის დროს, როცა მათი საბაზო ბანაკისკენ მიმავალნი 4000 მეტრ სიმაღლეზე მდებარე სოფელ ტიანგბოჩეში ავედით, ჩემთვის ნათელი გახდა, რატომ ჩაგრავდნენ დედამიწის უმაღლეს მწვერვალს. იქიდან ლჰოცზე (8501 მ.) უფრო მაღალი ჩანდა, ვიდრე ჯომოლუნგმა. იგივე სურათი გადაგვეშალა მანამდეც, უფრო ქვემოდან, როცა ნამჩე-ბაზარისკენ მივემართებოდით. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან (თვითმფრინავებიდან თუ სხვა მწვერვალებიდან) გადაღებულ ფოტოსურათებზეც, სადაც ჯომოლუნგმა და მაკალუ ერთად იყო აღბეჭდილი, მაკალუ მაღალი ჩანდა. მაგრამ ეს ილუზია იყო. სივრცეში ხომ ახლომდებარე საგნები უფრო მაღალი ჩანს, ვიდრე დაცილებული.

დედამიწის უმაღლესი მწვერვალის სიმაღლე ბევრჯერ იანგარიშეს და ყოველთვის სხვადასხვა შედეგი მიიღეს: 8900, 8888, 8882, 8824 მეტრი... თუმცა, ყოველი გამოანგარიშებისას მისი სიმაღლე მაინც უმაღლესი გამოდიოდა. ბოლოს, 1955 წელს დაადგინეს, რომ ჯომოლუნგმას სიმაღლე 8847,60 მეტრია. ეს ციფრი დაამრგვალეს და მიიღეს 8848 მეტრი.

დღეს სწორედ ამ ციფრს მიიჩნევენ სარწმუნოდ. ვარაუდობენ, რომ მწვერვალი შესაძლოა 2,44 მეტრით იყოს მეტი ან ნაკლები.

გაივლის წლები, საუკუნეები და ადამიანები კიდევ ერთხელ გაზომავენ დედამიწის უმაღლესი მწვერვალის სიმაღლეს და ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება აღმოაჩინონ, რომ იგი... 9 კილომეტრი გამხდარა. მეცნიერები ირწმუნებიან, რომ მწვერვალი თანდათან იზრდება, რადგან გიგანტური კონტინენტური პლატფორმა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიიწევს. ვარაუდობენ, რომ გამყინვარების პერიოდის შემდეგ ჰიმალაი სიმაღლეში 1200-1500 მეტრით გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი წელიწადში საშუალოდ 9-10 სანტიმეტრით იმატებს. მწვერვალები ბავშვებივით ხან ანელებენ ზრდას, ხან ერთბაშად იყრიან ტანს.

***

დედამიწის უმაღლეს მწვერვალს ტიბეტელები და შერპები ჯომოლუნგმას ან ჩომოლუნგმას უწოდებენ.

ეს სახელები პირველად 1733 წელს ფრანგ მისიონერთა მიერ პარიზში გამოცემულ რუკებზე გამოჩნდა.

ნეპალელებმა დედამიწის უმაღლესი მწვერვალი საგარმატხად მონათლეს.

1856 წელს, სრულიად მოულოდნელად, დედამიწის უმაღლეს მწვერვალს ინდოეთის ტოპოგრაფიული სამსახურის უფროსის (1823-1843 წ.წ.) ჯორჯ ევერესტის პატივსაცემად ევერესტი დაარქვეს. შემდეგ, როგორც ვთქვით, მსოფლიოს ყველაზე გრანდიოზული მასივის აღსანიშნავად რუკებზე გამოჩნდა ახალი სახელწოდება — გაურიზანკარი.

ახლა, როცა ბურუსი საბოლოოდ გაიფანტა, მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის სახელწოდებად რუკებზე და ლიტერატურაში დამკვიდრდა ევერესტი, ჯომოლუნგმა და საგარმატხა. აქედან ევერესტად იხსენიებენ ამერიკაში, ევროპაში; ჯომოლუნგმად — ინდოეთში, ტიბეტში, ჩინეთში, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში; საგარმატხად — ნეპალში.

მაგრამ ერთი რამ მაინც ბუნდოვანია. ავტორთა ერთი ჯგუფი ჯომოლუნგმას ასე თარგმნის — „ქალღმერთი — ქვეყნის დედა", მეორენი — „მიწის ღმერთთა დედა". მესამენი — „მშვენიერი ქარიშხლის და თოვლის დედა", მეოთხენი — „ისეთი მაღალი მთა, რომელზედაც ვერც ერთი ფრინველი ვერ გადაიფრენს".

საგარმატხას კი ერთნი ასე თარგმნიან — „ზღვის სახება", მეორენი — „ცის მწვერვალი", მესამენი — „ცის მბრძანებელი".

ამ პოეტური სახელწოდებებიდან ყველაზე მოხდენილი ალბათ „ცის მბრძანებელია", რამეთუ იგია ყველა მწვერვალთა მწვერვალი. თუმცა, „ზღვის სახებაც" მეტად ლამაზად ჟღერს. ეს სახელი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ მრავალი მილიონი წლის წინათ აქ ზღვის ტალღებს პურის ყანასავით მიერეკებოდა ქარი. დედამიწის უმაღლესი მწვერვალი, როგორც მეცნიერები ირწმუნებიან, ჰიმალაის სხვა გიგანტების მსგავსად, ზღვიური ფსკერის ღრმულიდან ამოიწვერა. ამოიწვერა და ისე გამოიყურება, თითქოს მისი ფერდობებიდან ჩამომდინარე აქაფებული წყალი გაქვავებულა თუ გაყინულაო გარდასულ დროთა მოსაგონებლად. სწორედ ასეთი ვიხილეთ ჯომოლუნგმა 5600 მეტრის სიმაღლიდან, როცა ამ გოლიათის ძირას, კხუმბუს მყინვარზე მოწყობილ საბაზო ბანაკში ავედით.

რაკი ჯომოლუნგმას გარეგნულ სახეზე ვსაუბრობთ, აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ 1942 წელს ამერიკელმა მფრინავმა რ. სკოტმა, რომელიც ახალ საბრძოლო თვითმფრინავს ცდიდა, ორჯერ გადაუფრინა ევერესტს, მწვერვალზე 3000 მეტრით მაღლა აფრინდა და „ცის მბრძანებელს" ფოტოსურათები გადაუღო. მისი თქმით, ევერესტი ზემოდან კლდეების კუნძულს წააგავს.

მაღალმთიან სოფელ ნამჩე-ბაზარში (3454 მ.) ევერესტის ეროვნული პარკის მუზეუმში ვნახეთ ჰიმალაის ვეებერთელა ფერადი ფოტოსურათი, რომელიც საბჭოთა კოსმონავტებმა 1975 წელს კოსმოსიდან გადაიღეს. სურათზე მთელი ნეპალი ისე ჩანდა, როგორც ფიზიკურ რუკაზე. საოცარი ფერები იყო. ნარინჯისფერი სჭარბობდა. სამხრეთით თანდათან მწვანდებოდა, ხოლო მწვერვალები ლაქებად ისე მოჩანდა, როგორც ნარინჯისფერზე დაღვენთილი თეთრი სითხე.

ჯომოლუნგმაც ასეთივე „დაღვენთილი თეთრი სითხე" იყო.

ტიანგბოჩეში კი, მტრედისფრად ინათებდა თუ არა, კარვებიდან გამოვდიოდით და ცის მბრძანებელს გავცქეროდით. მის წინ დევივით გაწოლილიყო ნუფცზე, ხოლო მარჯვნივ ლჰოცზე იყო დარაჯივით აღმართული. თვალი ვერ ძღებოდა მათი ჭვრეტით. ჯომოლუნგმა ხანტად „ბოლავდა". ქათქათა ნისლი ხან მანდილივით გვერდზე ჰქონდა მოგდებული, ხან თავზე შარავანდედივით ედგა.

ალიონზე მწვერვალთა ფერდობებს ნაცრისფერი გადაჰკრავდა, მერე თანდათან იისფერი ეფინებოდა და, როცა მზე ამოიწვერებოდა, ვერცხლისწყალგადასხმულივით ელვარებდა მის სხივებში.

მაგრამ ევერესტი აქედან არც ისე მიმზიდველი იყო. გაცილებით მომხიბლავი ჩანდა ლჰოცზე და უფრო მშვენიერი ამადაბლამი (6856 მ.), კუმბი ვია (5761), ამბე ლაბსა (6780), მინგოლა (5817)...

და მაინც, ევერესი ანდამატივით იზიდავდა და იზიდავს მთამსვლელებს. ის ხომ ცის მბრძანებელია!

მწვერვალთა მწვერვალი საოცრად მშვიდი და წყნარი ჩანდა, მაგრამ ახლოდან, კხუმბუს მყინვარიდან იგი დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ახდენდა. მის ფერდობებზე 40 გრადუსი ყინვა, ქარბუქი და ქარიშხალი მძვინვარებდა.

ნიადაგ ასე ყოფილა და არის — ცის მბრძანებელი თითქოს ლამობდა და ლამობს კადნიერებისთვის დასაჯოს მთამსვლელები, რომლებიც ბედავენ მის ციცაბო ფერდობებზე იერიშის მიტანას.

ამ ბრძოლაში ბევრი მთამსვლელი დაიღუპა, ბევრმაც გამარჯვება იზეიმა. მაშინ, ამ ცამეტი წლის წინათ, ჯომოლუნგმაზე უკვე 105 კაცი იყო ასული, და ამის ნახევარი — დაღუპული.

**ავთანდილ გურასაშვილი**

ავტორის ფოტოები

ჯომოლუნგმას წინ დევივით გაწოლილა ნუფცზე, მარჯვნივ კი ლჰოცზე ამართულა დარაჯივით



ჯორჯ ევერესტი



# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

| ბოლო ორი მატჩის შედეგი: h - შინ, a - სტუმრად | | 1 | X | 2 | Iნრე | 1993-1994 შინ/სტ | 1992-1993 შინ/სტ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ესპანეთი. 37-ე ტური. 10-11 ივნისი** | | | | | | | |
| ATLETICO - | ZARAGOZA | 1,4 | 3,0 | 4,0 | 1-3 | 0-4/1-2 | 2-2/0-1 |
| a 1-2 Compostela | h 0-1 Sevilla | | | | | | |
| h 3-1 Espanol | h 5-3 Compostela | | | | | | |
| VALENCIA - | COMPOSTELA | 1,8 | 2,0 | 3,8 | 1-1 | -/- | -/- |
| a 0-5 Espanol | h 2-1 Atletico | | | | | | |
| h 1-1 Racing | a 3-5 Zaragoza | | | | | | |
| TENERIFE - | ESPANOL | 1,8 | 2,5 | 3,0 | 0-0 | -/- | 2-1/0-0 |
| a 1-2 Racing | h 5-0 Valencia | | | | | | |
| h 3-0 Sporting | h 1-1 Racing | | | | | | |
| R. SOCIEDAD - | RACING | 1,6 | 2,6 | 3,6 | 0-0 | 2-0/1-4 | -/- |
| a 2-1 Sporting | h 2-1 Tenerife | | | | | | |
| h 5-0 Athletic | a 1-1 Valencia | | | | | | |
| OVIEDO - | SPORTING | 1,4 | 2,7 | 4,7 | 1-1 | 0-1/0-0 | 2-1/1-0 |
| a 0-1 Athletic | h 1-2 R. Sociedad | | | | | | |
| h 1-3 Albacete | a 0-3 Tenerife | | | | | | |
| VALADOLID - | ATHLETIC | 4,4 | 2,8 | 1,4 | 1-1 | 1-1/0-3 | -/- |
| a 0-1 Albacete | h 1-0 Oviedo | | | | | | |
| h 2-1Logrones | a 0-5 R. Sociedad | | | | | | |
| BARCELONA - | ALBACETE | 1,4 | 2,6 | 5,0 | 2-2 | 2-1/0-0 | 3-3/2-0 |
| a 4-1 Logrones | h 1-0 Valadolid | | | | | | |
| h 1-0 Real | a 3-1 Oviedo | | | | | | |
| DEPORTIVO - | LOGRONES | 1,1 | 3,2 | 8,0 | 1-0 | 3-0/2-0 | 0-1/3-0 |
| a 1-2 Real | h 1-4 Barcelona | | | | | | |
| h 2-0 Betis | a 1-0 Valladolid | | | | | | |
| CELTA - | REAL | 1,8 | 2,6 | 3,8 | 0-4 | 3-2/1-2 | 1-1/0-1 |
| a 1-1 Betis | h 2-1 Deportivo | | | | | | |
| a 3-2 Sevilla | a 0-1 Barcelona | | | | | | |
| BETIS - | SEVILLA | 2,5 | 2,5 | 2,0 | 1-0 | -/- | -/- |
| h 1-1 Celta | a 1-0 Zaragoza | | | | | | |
| a 0-2 Deportivo | h 2-3 Celta | | | | | | |
| **გერმანია. 33-ე ტური. 10 ივნისი** | | | | | | | |
| BORUSSIA M - | STUTTGART | 1,1 | 3,2 | 8,0 | 4-2 | 0-2/0-3 | 1-2/1-3 |
| a 1-1 Borussia D | h 1-0 Fraiburg | | | | | | |
| h 2-0 Eintracht | a 0-4 Bochum | | | | | | |
| DYNAMO - | BAYERN | 5,6 | 3,2 | 1,2 | 1-2 | 1-1/0-5 | 0-0/1-3 |
| a 3-5 Karlsruher | a 0-2 B. Leverkusen | | | | | | |
| h 2-1 Schalke 04 | h 0-1 Karlsruher SC | | | | | | |
| WERDER - | KARLSRUHER SC | 1,1 | 3,2 | 8,0 | 1-3 | 0-2/3-0 | 3-0/2-5 |
| a 2-4 Schalke 04 | h 5-3 Dynamo | | | | | | |
| h 6-1 B. Uerdingen | a 1-0 Bayern | | | | | | |
| BOCHUM - | SCHALKE 04 | 1,6 | 2,6 | 3,6 | 2-3 | -/- | 0-1/3-1 |
| a 1-2 B. Uerdingen | h 4-2 Werder | | | | | | |
| h 4-0 Stuttgart | a 1-2 Dynamo | | | | | | |
| FRAIBURG - | B. UERDINGEN | 1,2 | 3,0 | 6,5 | 2-0 | -/- | -/- |
| a 0-1 Stuttgart | h 2-1 Bochum | | | | | | |
| h 1-1 Borussia D | a 1-6 Werder | | | | | | |
| DUISBURG - | BORUSSIA D | 4,0 | 2,7 | 1,5 | 0-1 | 2-2/1-2 | -/- |
| a 1-4 Eintracht | h 1-1 Borussia M | | | | | | |
| h 3-2 Kaiserslautern | a 1-1 Freiburg | | | | | | |
| HAMBURGER SV - | EINTRACHT | 2,2 | 2,8 | 2,0 | 0-2 | 3-0/1-1 | 1-2/3-3 |
| a 1-4 Kaiserslautern | h 4-1 Duisburg | | | | | | |
| h 0-4 Koln | a 0-2 Borussia M | | | | | | |
| MUNCHEN 1860 - | KAISERSLAUTERN | 1,8 | 2,6 | 2,8 | 1-1 | -/- | -/- |
| h 2-1 Koln | h 4-1 Hamburger SV | | | | | | |
| a 2-0 B. Leverkusen | a 2-3 Duisburg | | | | | | |
| KOLN - | B. LEVERKUSEN | 1,6 | 2,6 | 3,6 | 1-3 | 1-1/1-2 | 1-2/0-3 |
| a 1-2 Munchen 1860 | h 2-0 Bayern | | | | | | |
| a 4-0 Hamburger SV | h 0-2 Munchen 1860 | | | | | | |

### ევროპის ჩემპიონატი. 11 ივნისი

| | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|
| ისლანდია - უნგრეთი | 3,6 | 2,6 | 1,6 |
| ესტონეთი - სლოვენია | 6,5 | 3,0 | 1,2 |
| უკრაინა - ხორვატია | 4,0 | 2,7 | 1,5 |
| ირლანდია - ავსტრია | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ფინეთი - საბერძნეთი | 4,0 | 2,7 | 1,5 |

UEFA EURO 96 England

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ფსონები მიიღება სასტუმრო „აჭარის" ფოიეში ყოველ სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევსა და შაბათს 13-დან 16 საათამდე

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | AS BARI | ■ | 3-0 | 0-0 | 2-0 | 2-2 | 2-1 | 4-1 | 1-2 | 3-5 | 0-1 | 1-1 | 0-1 | 1-2 | 1-0 | 2-2 | 0-1 | 3-1 | 0-2 |
| 2 | AC BRESCIA | 1-2 | ■ | 2-3 | 1-2 | 2-4 | 1-0 | 1-2 | 0-0 | 0-5 | 0-0 | 1-2 | 1-3 | 1-2 | 1-0 | 0-0 | 0-1 | 1-1 | 1-1 |
| 3 | US CAGLIARI | 2-1 | 2-0 | ■ | 1-0 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 0-2 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 2-0 | 2-0 | 4-2 | 0-1 | 1-1 | 1-0 | 3-0 |
| 4 | US CREMONESE | 0-0 | 0-0 | 2-0 | ■ | 0-0 | 1-3 | 4-1 | 2-0 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 3-0 | 1-1 | 2-1 | 2-5 | 0-0 | 3-0 | 1-2 |
| 5 | AC FIORENTINA | 2-0 | 4-0 | 2-1 | 3-1 | ■ | 1-1 | 3-1 | 2-2 | 1-2 | 2-2 | 4-0 | 4-1 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 6-3 | 1-4 |
| 6 | AC FOGGIA | 2-2 | 3-1 | 2-0 | 0-1 | 2-1 | ■ | 2-1 | 1-1 | 1-3 | 0-0 | 1-1 | 4-1 | 0-0 | 1-0 | 0-1 | 0-1 | 0-2 | 2-0 |
| 7 | FC GENOA | 1-1 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 1-1 | 3-0 | ■ | 2-1 | 1-1 | 2-1 | 3-3 | 2-1 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 1-2 | 1-0 | 0-4 |
| 8 | SAMPDORIA | 1-1 | 2-1 | 5-0 | 2-1 | 2-2 | 1-1 | 3-2 | ■ | [illegible] | 2-2 | 0-0 | 5-0 | 3-1 | 2-1 | 3-0 | 3-4 | 1-1 | 0-1 |
| 9 | AC MILAN | 0-1 | 1-0 | 1-1 | 3-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 0-0 | ■ | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 2-1 | 5-1 | 0-2 |
| 10 | ÌNTER MILANO | 1-2 | 1-0 | 1-2 | 0-0 | 3-1 | 3-0 | 2-0 | 2-0 | 3-1 | ■ | 0-2 | 2-1 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 0-2 | 2-1 | 0-0 |
| 11 | SSC NAPOLI | 3-0 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 2-5 | 2-1 | 1-0 | 2-0 | 1-0 | 1-3 | ■ | 3-3 | 1-0 | 1-0 | 0-0 | 3-2 | 1-1 | 0-2 |
| 12 | AC PADOVA | 0-2 | 2-0 | 2-1 | 3-2 | 0-1 | 0-0 | 1-1 | 1-4 | 2-0 | 1-0 | 2-0 | ■ | 0-3 | 3-0 | 0-0 | 2-0 | 4-2 | 1-2 |
| 13 | AC PARMA | 1-0 | 4-0 | 2-1 | 2-0 | 3-0 | 2-0 | 0-0 | 3-2 | 2-3 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 2-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-3 |
| 14 | AC REGGIANA | 0-1 | 2-0 | 0-0 | 2-0 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 0-2 | 0-4 | 0-1 | 1-2 | 3-0 | 2-2 | ■ | 1-4 | 0-0 | 1-0 | 1-2 |
| 15 | AS ROMA | 2-0 | 3-0 | 1-1 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 1-0 | 0-0 | 3-1 | 1-1 | 2-0 | 1-0 | 2-0 | ■ | 0-2 | 1-1 | 3-0 |
| 16 | LAZIO ROMA | 1-2 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 8-2 | 7-1 | 4-0 | 1-0 | 4-0 | 4-1 | 5-1 | 5-1 | 2-2 | 2-0 | 0-3 | ■ | 3-0 | 3-4 |
| 17 | AC TORINO | 2-0 | 2-0 | 3-2 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 0-2 | 1-1 | 2-0 | 0-2 | 4-0 | 2-2 | 2-0 | ■ | 3-2 |
| 18 | JUVENTUS TORINO | 2-0 | 2-1 | 3-1 | 1-0 | 3-2 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 0-1 | 4-0 | 3-1 | 3-0 | 0-3 | 1-2 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 1-1 | 2-2 | 1-2 | 1-3 | 1-2 | | 0-0 | 2-2 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 0-3 | 0-1 | 3-1 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 5-1 | ■ | 0-0 | 3-1 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-2 | 4-2 | 2-0 | 2-0 | | 0-0 | 2-2 | 0-0 | 5-0 | 3-0 | 0-0 |
| 3 | FC BARCELONA | | 3-0 | ■ | 1-0 | 4-0 | 3-1 | 1-1 | 3-0 | 4-3 | 1-0 | 1-0 | 2-1 | 3-0 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 1-0 | 0-0 | 4-1 | 1-1 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | 1-2 | 1-3 | | ■ | 1-0 | 2-0 | 0-2 | 1-0 | 3-1 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 0-2 | 3-2 | 2-1 | 1-1 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 0-0 | 1-1 | 1-2 | 0-1 | ■ | 3-2 | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-1 | 1-1 | 2-1 | 3-2 | 0-2 | 1-1 | 0-4 | | 1-1 | 1-0 | 2-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-2 | 0-0 | 2-1 | 1-1 | 1-1 | ■ | 3-1 | 2-2 | 0-2 | 1-0 | 1-1 | 2-3 | 1-3 | 1-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | 1-0 | | 0-0 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 2-1 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 2-1 | ■ | | 0-1 | 0-0 | 2-2 | 3-0 | 3-3 | 3-1 | 2-0 | 5-1 | 4-1 | 3-1 | 4-0 | 1-2 |
| 8 | CD LOGROÑES | 1-1 | 1-1 | 1-4 | 0-1 | 0-4 | 1-3 | 0-1 | ■ | 0-0 | 1-4 | 0-2 | 0-1 | 0-0 | 0-4 | 0-0 | 0-2 | 4-2 | 2-2 | 0-0 | |
| 9 | ATLETICO DE MADRID | 4-0 | 3-1 | 2-0 | 2-1 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | ■ | 0-2 | 3-3 | 0-1 | | 2-1 | 0-2 | 2-2 | 3-1 | 2-4 | 6-0 | 0-2 |
| 10 | REAL MADRID CF | 0-0 | 1-0 | 5-0 | 4-0 | 1-1 | 4-0 | 2-1 | 2-0 | 4-2 | ■ | 2-0 | 3-1 | 3-0 | 0-0 | | 2-0 | 4-2 | 3-1 | 1-0 | 4-0 |
| 11 | REAL OVIEDO | 1-3 | 3-0 | 0-0 | 1-1 | 2-2 | | 2-0 | 1-0 | 1-0 | 3-2 | ■ | 3-1 | 2-1 | 3-0 | 0-0 | 1-0 | 1-2 | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 12 | RACING SANTANDER | 2-1 | 0-0 | 5-1 | 0-2 | 2-2 | 0-0 | 1-2 | 3-0 | 0-0 | 3-1 | | ■ | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | 2-1 | 3-2 | 0-0 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 1-0 | 1-0 | 2-1 | 1-4 | 5-3 | 3-2 | 1-0 | 3-0 | 3-1 | 3-2 | 2-1 | 1-1 | ■ | 1-1 | 3-0 | 0-1 | 2-2 | | 1-0 | 4-0 |
| 14 | REAL SOCIEDAD | 2-0 | 2-0 | 1-1 | 5-0 | 1-1 | 2-2 | 1-3 | 6-0 | 3-1 | 1-1 | 3-1 | | 1-2 | ■ | 1-1 | 0-0 | 5-2 | 0-2 | 3-0 | 2-3 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | 4-1 | 3-1 | 1-1 | 0-0 | 1-0 | 5-0 | 0-0 | 1-0 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 2-0 | 0-1 | 0-0 | ■ | | 3-0 | 1-1 | 1-2 | 1-1 |
| 16 | SEVILLA FC | 0-2 | 3-0 | 4-2 | 0-0 | 3-0 | 5-1 | 0-0 | 1-0 | | 1-4 | 1-1 | 1-3 | 2-1 | 2-0 | 0-1 | ■ | 1-2 | 1-1 | 1-0 | 2-3 |
| 17 | CD TENERIFE | 2-2 | | 2-1 | 1-0 | 2-0 | 3-0 | 1-1 | 4-0 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 3-0 | 2-0 | 3-0 | 1-4 | 0-0 | ■ | 1-2 | 0-0 | 3-0 |
| 18 | VALENCIA CF | 3-3 | 0-0 | 1-2 | 3-1 | | 0-0 | 1-2 | 3-0 | 0-0 | 1-2 | 1-0 | 1-1 | 3-0 | 4-2 | 2-1 | 0-1 | 2-1 | ■ | 3-0 | 1-0 |
| 19 | REAL VALLADOLID | 1-1 | 0-4 | 1-3 | | 2-0 | 2-0 | 0-0 | 2-1 | 0-1 | 0-5 | 2-1 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 0-2 | 0-4 | 1-4 | 2-0 | ■ | 1-1 |
| 20 | RC CELTA VIGO | 0-0 | 1-2 | 2-4 | 1-1 | 1-2 | 2-0 | 0-2 | 0-1 | 1-0 | | 0-0 | 2-1 | 0-0 | 2-1 | 0-2 | 0-0 | 3-2 | 0-0 | 1-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | VfL BOCHUM | ■ | 1-3 | 0-2 | 2-0 | 1-0 | 0-1 | 1-3 | 0-0 | 0-2 | 0-1 | 1-0 | 1-3 | 0-2 | 1-2 | 2-2 | | 4-0 | [illegible] |
| 2 | SV WERDER BREMEN | 3-0 | ■ | 3-1 | 1-0 | 5-1 | 2-0 | 5-1 | 1-4 | 2-2 | | 2-2 | 3-2 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 4-0 | 6-1 |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | 3-1 | 2-0 | ■ | 2-0 | 1-0 | 1-1 | 1-1 | | 2-1 | 2-1 | 2-1 | 0-3 | 1-1 | 1-0 | 4-0 | 3-2 | 5-0 | 3-1 |
| 4 | 1. FC DYNAMO DRESDEN | 0-2 | 1-1 | 0-1 | ■ | 4-2 | 1-2 | 1-3 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-3 | | 1-1 | 2-1 | 1-1 | 1-2 |
| 5 | MSV DUISBURG | 3-1 | 0-2 | | 1-1 | ■ | 1-0 | 1-2 | 0-5 | 3-2 | 0-0 | 1-3 | 0-2 | 0-2 | 0-3 | 1-1 | 2-2 | 2-0 | 2-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 2-1 | 0-0 | 4-1 | 2-0 | 4-1 | ■ | 1-2 | 2-0 | 1-3 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 2-0 | | 0-3 | 2-2 | 0-3 |
| 7 | SC FREIBURG | 1-2 | 1-3 | 1-1 | 3-1 | 3-0 | 2-0 | ■ | 3-0 | 4-1 | 2-1 | 4-2 | 1-1 | 1-1 | 5-1 | 1-1 | 3-0 | 2-0 | |
| 8 | HAMBURGER SV | 3-1 | 0-0 | 0-4 | 2-1 | 3-0 | | 1-2 | ■ | 0-0 | 3-1 | 0-4 | 1-2 | 1-2 | 1-1 | 3-0 | 3-0 | 0-2 | 0-0 |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | 3-1 | 1-1 | 1-0 | 3-1 | 1-0 | 1-1 | 3-2 | 4-1 | ■ | 0-0 | | 1-0 | 2-2 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-2 | 1-1 |
| 10 | KARLSRUHER SC | | 3-1 | 0-0 | 5-3 | 4-1 | 1-1 | 2-0 | 2-0 | 3-3 | ■ | 0-0 | 2-4 | 2-4 | 2-2 | 3-1 | 2-2 | 3-1 | 2-1 |
| 11 | 1. FC KÖLN | 2-1 | 1-1 | 1-6 | 1-2 | 0-3 | 3-0 | 2-0 | 1-1 | 0-1 | 3-4 | ■ | | 1-3 | 3-1 | 2-1 | 5-1 | 1-0 | 2-0 |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | 1-3 | 1-2 | 2-2 | | 2-0 | 4-0 | 2-4 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 3-1 | ■ | 3-1 | 2-0 | 0-2 | 2-2 | 3-1 | 1-1 |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 7-1 | 2-0 | 3-3 | 2-0 | 1-0 | 2-0 | 1-2 | 2-1 | 4-0 | 2-2 | 0-0 | 3-3 | ■ | 2-2 | 2-0 | 0-1 | | 1-0 |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | 3-1 | | 2-1 | 2-1 | 1-1 | 3-3 | 2-2 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 2-2 | 2-1 | 3-0 | ■ | 1-0 | 2-0 | 2-2 | 2-1 |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | 4-0 | 1-2 | 1-5 | 3-1 | 1-1 | 2-1 | 4-0 | 1-1 | | 1-0 | 2-1 | 1-1 | 2-0 | 1-3 | ■ | 0-1 | 0-2 | 1-1 |
| 16 | FC SCHALKE 04 | 3-2 | 4-2 | 0-0 | 4-0 | 0-0 | 0-0 | | 0-1 | 0-1 | 0-0 | 3-1 | 3-2 | 1-1 | 0-3 | 6-2 | ■ | 1-1 | 2-0 |
| 17 | VfB STUTTGART | 2-2 | 1-4 | 0-0 | 4-2 | | 4-1 | 1-0 | 2-1 | 2-2 | 4-0 | 2-2 | 4-2 | 2-4 | 0-2 | 1-1 | 1-1 | ■ | 3-1 |
| 18 | BAYER 05 UERDINGEN | 2-1 | 1-3 | 0-2 | 3-1 | 1-1 | 1-1 | 0-2 | 4-1 | 1-3 | 0-0 | 0-0 | 0-1 | | 1-1 | 1-1 | 1-1 | 4-1 | ■ |

### რაგბის მსოფლიო თასი. მეოთხედფინალი. 10-11 ივნისი

**საფრანგეთი - ირლანდია 1,4 7,0 2,3**

წინა მსოფლიო თასებზე მეტოქეები ერთმანეთს არ შეხვედრიან. სამაგიეროდ, ყოველ ზამთარს თამაშობენ ხუთი ერის პირველობის პროგრამით. ამ ასპარეზზე გამართული 68 თამაშიდან 38 მოიგო საფრანგეთმა, 25 — ირლანდიამ, 5 კი ფრედ დასრულდა. საფრანგეთმა გაიმარჯვა ათსავე (!) ბოლო თამაშში: შინ — იოლად, სტუმრად — ბრძოლით. ანგარიშები ასეთი იყო: 25:7 (95), 35:15 (94); 21:6 (93), 44:12 (92); 21:13 (91), 31:12 (90); 26:21 (89), 25:6 (88); 19:13 (87), 29:9 (86). კენტი წლების მატჩები დუბლინში გაიმართა, ლუწი წლებისა — პარიზში. ირლანდიამ საფრანგეთს უკანასკნელად მოუგო 1983 წელს 22:16, 1985 წლის მატჩი კი ფრედ 15:15 დასრულდა. ირლანდია ამ ორივეჯერ ჩემპიონი გახდა.

**სამხრეთი აფრიკა - დასავლეთი სამოა 1,02 9,0 13,0**

მეტოქეები ერთადერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს. მანამდე სამხრეთი აფრიკა საერთაშორისო სარბიელიდან კარგა ხანს გარიყული იყო, სამოა კი ზღვისრეთს გარეთ არ თამაშობდა. ეს ერთადერთი ტესტიც წელსღა, 13 აპრილს გაიმართა მეოთხედფინალის გამართვის ადგილას — იოჰანესბურგში. აფრიკელებმა 60:8 გაიმარჯვეს. გარდა ამისა, სამოა აპრილში აფრიკაშივე ეთამაშა იქაურ სამ ბობოლა პროვინციას: წააგო ნატალთან 17:21 და ჩრდილოეთ ტრანსვაალთან 16:52, მაგრამ დაამარცხა ტრანსვაალი 13:12.

**ინგლისი - ავსტრალია 2,0 8,0 1,4**

მეტოქეები ერთურთს უკანასკნელად წინა მსოფლიო თასის ფინალში, 1991 წლის 2 ნოემბერს, თვიქნემში შეხვდნენ. გაიმარჯვა ავსტრალიამ 12:6. ავსტრალიამვე მოიგო ბოლო ათწლეულის ყველა თამაში, გარდა ერთისა: 1988 წლის 5 ნოემბერს თვიქნემში ინგლისმა 28:19 გაიმარჯვა. სხვა მატჩები ავსტრალიაში გაიმართა. მასპინძლებმა მოიგეს 19:6 (87, პირველი მსოფლიო თასის ჯგუფში), 22:16 და 28:8 (88) და 40:15 (91). ჯამური ბალანსიც ავსტრალიის სასარგებლოდაა: 12 მოგება, 6 წაგება.

**ახალი ზელანდია - შოტლანდია 1,1 8,0 3,5**

შოტლანდიას აქამდე ვერაფრით დაუმარცხებია ზელანდია. 17 ტესტიდან „ოლ ბლექსმა" მოიგო 15, ორჯერ კი ფრე ალიწუსხა: 0:0 (64) და 25:25 (83) (ორივეჯერ მარიფილდში). ბოლო ათწლეულში ზელანდიამ ხუთჯერ გაიმარჯვა: 51:15 (93, მარიფილდში), 13:6 (91, კარდიფში, მეორე მსოფლიო თასზე, მესამე ადგილისთვის თამაშში), 21:18 და 31:16 (90, შოტლანდიის ზელანდიურ ტურნეზე), 30:3 (87, ქრაისთჩერჩში, პირველი მსოფლიო თასის მეოთხედფინალში).

თასის მოპოვება: ს. აფრიკა — 2,0; ავსტრალია — 2,2; ახ. ზელანდია — 2,2; ინგლისი — 3,5; საფრანგეთი — 6,0



# ჯგუფებიდან მეოთხედფინალებამდე

ნამდვილი მსოფლიო თასი ახლაღა იწყება: სუსტები გავარდნენ და შინ გაემგზავრნენ, რვა რჩეული კი პაიფელდტის ზეგანზე აბარგდა და მეოთხედფინალებისთვის იქ ემზადება.

გუნდები ორგანიზატორებმა იოჰანესბურგისა და პრეტორიის სასტუმროებში დაასახლეს, ოღონდაც ისე დააწყვილეს, რომ მეტოქეებმა ერთად არ იცხოვრონ. ამან მრავალთა უკმაყოფილება გამოიწვია. ასე მაგალითად, შოტლანდიელებს ოტელის ერთი კორპუსიდან მეორეში გადასვლა მოსთხოვეს, ავსტრალიამ და ინგლისმა კი იმდენი იჩალიჩეს, რომ მეოთხედფინალის სათამაშოდ ქეიფთაუნში დათქმულზე ერთი დღით ადრე გამგზავრების ნებართვა გამოსტყუეს ორგანიზატორებს.

### ვინ ყოფილან ეს მამები

ორგანიზატორები სხვა საკითხებშიც ჩაიჭრენ. განთესვა და წილისყრა მათებურად ფიფას რომ გაემართა, ფეხბურთის სამყარო უთუოდ აჯანყდებოდა. თავად განსაჯეთ: მსოფლიო რაგბის მამები კი არ დაელოდნენ 16-ვე ფინალისტის გამოვლენას და მერელა, ფინალური სტადიის დაწყებამდე ნახევარი წლით ადრე კი არ განთესეს გუნდები და წილი უყარეს, არამედ საქმე წინ წაიგდეს და 1993 წლის იანვარში ყველას თავ-თავისი ადგილი მიუჩინეს: ისე, ზერელედ განაჩინეს, რომ აზიის ჩემპიონი ევროპის შესარჩევი ზონის მეორე და მესამე გუნდებზე ძლიერი იქნებოდა, ფინალურ სტადიაზე პერსონალურად დაშვებულ რვა გუნდს კი, წინა მსოფლიო თასის მეოთხედფინალისტები რომ იყვნენ, იმ შეჯიბრებაზე დაკავებული ადგილებით ჩამოუწიგეს განთესვის ნომრები. აქ გასარკვევი ჰქონდათ მეოთხედფინალში წაგებულთა დალაგების რიგი. ჰოდა, უკეთესი რომ ვერაფერი მოიფიქრეს, ამათ სულ სხვადასხვა ჯგუფებში დაგროვილი ქულების შედარებით დაუდგინეს რეიტინგი.

მასპინძელი სამხრეთი აფრიკისთვის რა ექნათ, არ იცოდნენ. ბოლოს მე-9 ნომრად განთესეს (იხ. ტოტალიზატორის გვერდი), რის შემდეგაც კანადის საცოდაობით... ამწვარმა მედიამ „ა" ქვეჯგუფს სასიკვდილო ჯგუფი უწოდა. ავსტრალიამა და სამხრეთმა აფრიკამ მართლაც გაჭყლიტეს კანადა, მაგრამ ამანაც ხელი გამოილო. „ნეკერჩხლის ფოთლებს" იმედები გაუცრუვდათ: თურმე ჰგონებიათ, სამივე თამაში პორტ-ელიზაბეთში რომ დაგვინიშნეს, მაქაურებს ერთობ შევუყვარდებით და თავისიანთა ნაცვლად ჩვენ გვიქომაგებენო. ასე რომ არ მოხდა, კანადა შეება „ქურციკებს", დაუმტვრია სტრანსკი, ჯონსონი და ფანდერვესტჰოიზენი, მერე კი ჩხუბიც აუტეხა, რის შედეგადაც მეტოქე ერთობ აზარალა: სამხრეთი აფრიკის კვაჭ ჯეიმზ დოლტონს 30-დღიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, გარემარბ პიტერ ჰენდრიქსს კი — 90-დღიანი. დაუსჯელი არც კანადელები დარჩენილან: 10 ნომერი და კაპიტანი რიისი და ბურჯი ხნოუ ერთი თვე ვერ ითამაშებენ, მცველი სქოთ სთიუართი კი — ორი თვე. დოლტონსა და სთიუართს სასჯელი ვიდეოს განხილვის შემდეგ გამოუტანეს, თორემ მსაჯს მოედნიდან არ გაუძევებია. წინასწარ ეტაპზე ერთი გაძევებულიც — ტონგელი ფრთის მორკინალი მოჰონი 6 კვირით დასაჯეს. ამას მიწაზე წოლილი ფრანგი დაუწიხლავს.

ორგანიზატორთა კიდევ ერთი სიბრიყვე მეოთხედფინალშივე გამოჩნდება. მერვე გუნდი, წესით და რიგით, ვერ უნდა მოერიოს პირველს, მაგრამ მეცხრემ (სამხრეთმა აფრიკამ) მაინც დაამარცხა ეს პირველი (ავსტრალია), რის შედეგადაც მეორეს (ინგლისს) მერვეს (კანადის) ნაცვლად შეეჯახა პირველი (ავსტრალია). ერთი სიტყვით, წინა მსოფლიო თასის ერთ-ერთი ფინალისტი ამთავითვე უნდა გავარდეს. სამაგიეროდ, სატურნირო ბადის მეორე ნახევარში ორგანიზატორთა ჩანაფიქრის მიხედვით, ნახევარფინალში გრიალ-გრიალით გავლენ ზელანდია და საფრანგეთი.

ამ ბადის გამო სამხრეთაფრიკელ მგებავებს კიდევ ერთი კურიოზი შეემთხვათ, რისთვისაც ამ ორი წლის წინ მსოფლიო მედიამ საქვეყნოდ გამოაჭენა. ამ ხალხს მანამდე ალბათ არასოდეს შეედგინა თასის გათამაშების ფორმულა, თორემ ნახევარფინალებს ისე არ დასახავდა, ერთი ჯგუფიდან გამოსული გუნდები ამ ეტაპზე ისევ ერთმანეთისთვის რომ შეეხვედრებინა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მავანთ პატივცემულ ორგანიზატორებს მიუთითეს, რა იალლიშიც მოსვლოდათ, ამათ სასწრაფოდ გამოსცეს შესწორება, მაგრამ უარესი შეცდომა გაეპარათ. მესამე ცდით პრობლემა სამართლიანად გადაიჭრა: ავსტრალია და სამხრეთი აფრიკა თუ ერთმანეთს კიდევ გადაეყრებიან, ოღონდ ფინალში.

### ფული და ნიჭი

ფინალამდე მისაღწევად, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ავსტრალიელ „ვოლაბებს" ინგლისის ძლევა მოუწევთ. ბრიტანელებმა უღიმღამოდ კი დაიწყეს შეჯიბრება, მაგრამ შემადგენლობა დროულად გადაიხალისეს და სამოას ლამაზად მოუგეს. მართალია, გუნდში ბევრია ტრავმირებული, მაგრამ როგორც მენეჯერ ჯეკ რაუელს უთქვამს, ჩემს ინგლისს ნებისმიერი მეტოქის დამარცხება ხელეწიფება და ეგ მეტოქე ვითომ რატომ ვერ უნდა იყოს ავსტრალიაო.

მას შემდეგ, რაც ნაკრები აუჯანყდა თავის რაგბის კავშირს და შერისხულ კაპიტან ვილ ქარლინგს გამოექომაგა, ინგლისური რაგბის მამებმა მოთამაშეთა გულის მოსაგებად სენსაციური ცნობა გამოაქვეყნეს: უკვე შევარჩიეთ ექვსი მძლავრი კომპანია, რომელთაგან მალე ერთს ამოვირჩევთ და მთელი ინგლისური რაგბის სპონსორობას მივანდობთო. ამ კომპანიის ლოგო ეროვნულ ნაკრებს კვართებზე დაეხატება, სამაგიეროდ კი ოთხი წლის განმავლობაში 6 მილიონ გირვანქას მოგვცემენ, რომლის ნახევარსაც თქვენ გიწილადებთ, რის შედეგადაც თითოეული თქვენგანი წელიწადში 30 ათას გირვანქას მიითვლისო.

ამგვარმა ფინანსურმა წახალისებამ სულზე მოუსწრო მოყვარულობის ბოლო ბასტიონს — ინგლისს. საქმე ისაა, რომ სამხრეთ აფრიკას მისწყდომიან პროფესიული ლიგის რაგბის სვავები, მეტადრე კი მედიის მაგნატ რუპერტ მერდოქის მიერ გაბაირებული ბრიტანული კლუბების მენეჯერები, რომლებიც ზაფხულობით თამაშს დაყაბულებულან ხუთი წლის მანძილზე შეპირებული 87 მილიონი გირვანქის ხათრით. ლიგელ ფულის ქისებს ტელეფონის რეკვით შეუწუხებიათ მრავალი ვარსკვლავი, აბა, თქვენ იცით, თასის გათამაშება რომ მორჩება, ჩვენს სპორტში გადმოდით, კარგი ჯამაგირები კი ჩვენზე იყოსო. სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ მერდოქის „სტარ-სუპერ-ლიგა" წაყვანას უპირებს სამხრეთაფრიკელებს სმოლს, ჰენდრიქსს, ფანდერვესტჰოიზენსა და დოლტონს; ზელანდიელებს ლომუს, კრონფელდსა და მერთენსს; ავსტრალიელებს ლითლსა და ჰორანს; ირლანდიელ ბელს; ინგლისელებს ჰალს (ამ მსოფლიო თასზე არ თამაშობს), ქეთს, უბოგუსა და ბექს. კრონფელდს ნახევარ მილიონს სთავაზობენ, ლომუს — მილიონს, ლითლსა და ჰორანს — ასევე მილიონს, ოღონდ ყოველწლიურად. ცოტა უცნაური კია, მაგრამ პოტენციურ დეზერტირთა სიაში შოტლანდიელი ანაც უელსელი არავინაა.

### ზოგი ჭირი მარგებელია

დაუპატიჟებელ ლიგელთა გარდა კულუარებში სხვათა აქტიურობაც შეინიშნება. ბევრი უთათბირიათ სამი სამხრეთელი ბუმბერაზის — ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და სამხრეთი აფრიკის რაგბის ხელისუფლებს და დაუდგენიათ, რომ ხუთი ერის პირველობის ანალოგიით თავისთვისაც შემოიღონ ეროვნულ ნაკრებთა ყოველწლიური ჩემპიონატი, ოღონდაც „ზე-ათის სერიალი", ანუ პროვინციათა პირველობაც შეინარჩუნონ. ამ ახალი შეჯიბრების ფორმატზე ჯერჯერობით ვერაფერი უთქვამს სამხრეთი აფრიკის რაგბის კავშირის ახალ მთავარ აღმასრულებელ ედ გრიფითსს, აქაო და ჯერ ერთი დიდი სპონსორი უნდა ავირჩიოთ, ვინაც მთელ კომერციულ მხარეს მიხედავს, მერე კი მისი კარნახით გადავწყვიტოთ, რა სისტემით ვითამაშოთ რაგბიო. ასე თუ ისე, წელსვე არც მსოფლიო თასის შემდეგ ექნებათ მოცლა სამხრეთელ მორაგბეებს: სამივე ქვეყანაში პროვინციათა შეჯიბრებები დაიწყება, 22 და 29 ივლისს კი ზელანდია და ავსტრალია გარდამავალი „ბლედისლოუს თასისთვის" ორ ტესტს გამართავენ.

ინგლისს ისე დაშავებია ტანჩია მორკინალი ბექი და 9 ნომერი ბრაქენი, რომ შინ გაგზავნას უპირებს, იქიდან კი შემცვლელთა ხმობას ფიქრობს. ტრავმირებულის ამ გზით შეცვლა ტურნებზე და მსოფლიო თასებზე აქამდეც მიღებული იყო, მაგრამ ორგანიზატორებს ეს წესიც გაუაბსურდებულებიათ და დისკვალიფიკაციის გამო გამოკლებულთა შეცვლაც შემოუღიათ. ამ სიახლემ ერთობ არგოთ მასპინძლებს: ისინი ჰენდრიქსის ნაცვლად აბრუნებენ ზანგ ჩესთერ ვილიამსს, ვინაც ზედ შეჯიბრების წინ ჰენდრიქსმა შეცვალა.

ვილიამსი დიდებული მობურთალიცაა და ხალხის კერპიც. მანდელასეულ პროპაგანდას ჩესთერი ახალი სამხრეთი აფრიკის სიმბოლოდ შეურაცხავს და მსოფლიო თასის ყველა რეკლამაზეც გამოუსახავს. შეჯიბრების დაწყებამდე ექვსი კვირა რომ რჩებოდა, გარემარბი მანუ სამოასთან თამაშისას დაშავდა და დროულად ველარ მოკეთდა, ახლა კი უკვე ისე მომჯობინებულა, რომ წინა უქმეებზე თავის ქეიფთაუნურ კლუბში მშვენივრად უთამაშია. ამით იმედმიცემულები — „ქურციკების" მენეჯერი მორნე დიუპლესი და მწვრთნელი ქიჩ ქრისთი ვილიამსს იმავე სამოასთან სათამაშოდ დაყენებას უპირებენ.

ქეიფთაუნელი გარემარბისაგან განსხვავებით, ვეღარასოდეს მორჩება 27 წლის სპილოს ძვლის ნაპირელი გარემარბი მაქს ბრიტუ, ვისაც ტონგასთან ისე დაუშავდა კისერი, რომ სამუდამოდ დაკუტდა. ბრიტუს ამ სამშაბათს პრეტორიელი ქირურგების მიერ გაკეთებულმა ოპერაციამაც ვერ უშველა. ეს საცოდავი ამგვარად შეიქნა რაგბის მსოფლიო თასების პირველი მსხვერპლი, რაც მრავალმხრივაა დამაფიქრებელი.

უჩა დავითაშვილი



ასე გაუტანა ავსტრალიამ ინგლისს გადამწყვეტი ლელო წინა მსოფლიო თასის ფინალში



ზანგი „ქურციკი" ჩესთერ ვილიამსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

STAR TV

შაბათს ეს არხი პირდაპირ გადმოსცემს ორივე მეოთხედფინალს: დღის ოთხ საათზე საფრანგეთი — ირლანდიას, შვიდის ნახევარზე კი სამხრეთი აფრიკა — მანუ სამოას. კვირას, ბოლო მეოთხედფინალი: ახალი ზელანდია — შოტლანდია შვიდის ნახევრიდან პირდაპირ გადმოიცემა, მერე კი მას მოყვება ინგლისი — ავსტრალიის მატჩის ჩანაწერი.

EUROSPORT

ეს არხი გვიჩვენებს ერთადერთ თამაშს (საფრანგეთი — ირლანდიას) და იმასაც დაგვიანებით, საღამოს რვის ნახევრიდან. საათნახევრიანი მიმოხილვები შაბათ-კვირას ღამის სამი საათიდან გადმოიცემა.

# წყალი აიმღვრა

მშვიდობიანად მიმდინარე საქართველოს პირველობა მსოფლიო თასის დაწყებასთან ერთად აირია. იმის გამო, რომ მეორე ჯგუფში პირველთან შედარებით ოთხით მეტი ტური უნდა გაიმართოს, უფროსჯგუფელები უცხოური რაგბით გადატვირთულ კვირაში ისვენებდნენ. უქმობა მოუწიათ უმცროსჯგუფელებსაც: მავანთა უდიერი მოპყრობით შეწუხებული მსაჯები ამდგარან და გაფიცულან, რის გამოც მეორე ჯგუფის VI ტური საავგისტოოდ გადაიდო.

მანამდე საქმეში სხვა მოტივებიც ჩარეულა. ქუთაისის გუნდებმა ითხოვეს, მეორე წრის მატჩი დადგენილზე ერთი თვით ადრე ვითამაშოთო, რასაც რაგბის კავშირი იოლად დაყაბულდა. თამაში სარეკორდო ანგარიშით დამთავრდა და „აიეტს" შეჯიბრებაზე გულიც აუცრუა. მერე ამ კლუბის საბანკო ანგარიშისთვის ყადაღა დაუდვიათ, რის გამოც გუნდი უფულოდ დარჩენილა და თბილისს, „გუმართან" სათამაშოდ, ველარ ჩამოვიდა. აიეტელებს კავშირისთვის მოუწერიათ, წაგება ჩაგვითვალეთ, ქულაც დაგვიქვითეთ, ოღონდაც გამოუცხადებლობისთვის ფულით ნულარ დაგვაჯარიმებთო.

გაილია მსოფლიო თასის პირველი ეტაპი და დასვენებულ მსაჯებსაც გული მოუბრუნდათ შინაურ რაგბზე. ერთი ეგაა, რომ მათი მოთხოვნით, მოედანს უცხოთაგან ალარავინ ეკარება და ყველა მაყურებელიც თამაშს ტრიბუნიდან ადევნებს თვალს.

სამშაბათსა და ოთხშაბათს ვაკეში უფროსჯგუფელთა ორი მატჩი გაიმართა. ორივეს მსაჯობა მსაჯთა კომისიის თავმჯდომარეს, 34 წლის პაატა ნარიმანაშვილს მოუწია.

მსოფლიო თასს ქართული სარაგბო თემის მცირე ნაწილი ერთობ აუფორიაქებია, მეტადრე წესების გაგებისა და გააზრების გამო. მავანთ ისიც კი უკითხავთ, მსაჯებმა ამიერიდან როგორ უნდა იმსაჯონ — წესების მიხედვით თუ ისე, როგორც მსოფლიო თასის ტელერეპორტაჟებისას ვნახეთო. არადა, ამათ თამაშის წესები წაკითხული რომ ჰქონდეთ, იოლად დარწმუნდებოდნენ, რომ მსოფლიო თასზე მათი მიხედვით მსაჯობენ!

ამგვარმა აღრევამ მსაჯები ცუდ დღეში ჩაგვიყენა. თუ ჩვენებურები თავიანთი კავკასიელობის გამო აქამდეც უდრტვინველად ვერ ხვდებოდნენ სასტვენს, ახლა საჯაროდ და უფრო ხმამაღლა ჰკვირობენ, რა უნდა ამ ჩემისას, რატომ გვაჯარიმებსო.

მსოფლიო თასის ფონზე ვაკეში გამართული თამაშები, განსაკუთრებით კი პირველი ტაიმები, ულიმლამო გამოვიდა. მეორეებში საგულისხმო მეტი იყო, თუმცა დავა-კამათმაც იმატა. „ყოჩებმა" კუთხის ალმებთან სამი კარგი ლელო გაიტანეს, „თბილისი" — „აიას" თამაშში კი მასპინძლები რაგინდარა ხერხით თამაშის გაშლასა და უვარჯიშებელ-დამძიმებული სტუმრების რბენით დაღლას ცდილობდნენ. „თბილისმა" მიზანს კინაღამ მიაღწია, როცა ოთხჯერ — 32-ე, 50-ე, 54-ე და 68-ე წუთებზე სულ ცოტა დააკლდა ლელოს გატანამდე. საქართველოს შარშანდელი ჩემპიონები იმდენად გაიტაცა საიმდღეო ტაქტიკური გეგმის ხორცშესხმამ, რომ თუმც 3:6 აგებდნენ, კარში მაინც არ ურტყამდნენ საჯარიმოს. მხოლოდ მაყურებელთა ჩარევის შემდეგ შეაგდო ძნელაძემ მეორე გოლი. მის გარდა კარგად იბურთავეს იოვაძემ, ალანიამა და დგებუაძემ.

ქუთათურებს თავიანთი შანსები თითქმის არ გაუშვიათ ხელიდან. მართალია, ოთხი საჯარიმოდან ერთადერთი შეაგდეს, მაგრამ მატჩის ბოლო ათწუთეულისთვის მაინც დაწინაურდნენ. მანამდეც და მერეც „აიას" თითო კურიოზი შეემთხვა. 62-ე წუთზე უმცროს ძაგნიძეს ლიგის რაგბის ყაიდაზე ერთბაშად სამი თბილისელი ეძგერა, ემზარმა კი ბურთი გადაუგდო ჩუბინიძეს (15), რომელიც მოედნის კიდეზე გაიჭრა წინ, მაგრამ მავან თანაგუნდელს ბურთი ხეირიანადაც რომ ვერ მიაწოდა, მისი ისეთი რისხვა დაიმსახურა, რუსის ჯარში ვალმოხდილი სალდათი ახალწვეულს რომ დააწევს ხოლმე. 82-ე წუთზე ემზარი ისევ გააოცა მსაჯმა, როცა თავისუფალის გათამაშების შემდეგ გატანილი არეკნი არ ჩაუთვალა. ამის გამო ტრიბუნებზე ხუმრობდნენ, „აია" იმდენ ხანს იყო მოწყვეტილი დიდ რაგბს, რომ წესების შეცვლა გამორჩენიაო. არადა, ეს ახალი წესები ჩვენთან 1992 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა.

## პირველი ჯგუფი

29.V. ქუთაისი

**აიეტი-ქსუ 15 (5) — აია-ვეი 99 (50)**

მსაჯი დ. ფულარია

აიეტი — 2ლ: 13 მარვაშიძე, 4 აბაშიძე; გ, ს: 11 ბეს. ხამაშურიძე;

აია — 18ლ: 10 ნ. ძაგნიძე - 6, 15 გ. ჩუბინიძე - 5, 14 ძონენიძე - 4, 3 იასაკაძე, 2 ტურძელაძე, 8 ზვ. ლიპარტელიანი; 3გ და ს: ნ. ძაგნიძე

6.VI. ვაკე

**ყოჩები 23 (3) — აზოტი 9 (6)**

მსაჯი პ. ნარიმანაშვილი (42+44)

ყოჩები — 3ლ: 12 ბარძიმიშვილი (59), 7 ლაზაშვილი (70), 11 ნიკლაური (85); გ: 15 ძამიაშვილი (79); 2ს: 10 ტეფნაძე (30, 55)

აზოტი — 3ს: 13-15 ჯიმშელაძე (18, 34, 50)

7.VI. ვაკე

**თბილისი 6 (3) — აია-ვეი 6 (0)**

მსაჯი პ. ნარიმანაშვილი (43+42)

თბილისი — 2ს: 10 ძნელაძე (37, 77)

აია — ა: 10 ნ. ძაგნიძე (59); ს: 12-10 ე. ძაგნიძე (71)

გუმარი—აიეტი-ქსუ აიეტი არ გამოცხადდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აია-ვეი | 6 | 5 | 1 | 0 | 240:57 | 35-5 | 11 |
| გუმარი | 5 | 3 | 1 | 1 | 55:45 | 3-2 | 7 |
| თბილისი | 5 | 2 | 2 | 1 | 94:58 | 12-3 | 6 |
| ყოჩები | 5 | 3 | 0 | 2 | 90:95 | 8-9 | 6 |
| აზოტი | 5 | 1 | 0 | 4 | 72:79 | 6-8 | 2 |
| აიეტი-ქსუ | 6 | 0 | 0 | 6 | 37:257 | 4-41 | -1 |

## მეორე ჯგუფი

18.V: რაში — ყოჩები II 15 (7) (2ლ, გ, ს) : 8 (0) (ლ, ს); დელფინები — გელათი 12 (7) (2ლ, გ) : 20 (9) (ლ, 5ს: №15 გ. უგლავა)

19.V: დინამო — აკადემია 10 (0) (2ლ) : 11 (8) (ლ, 2ს); უნივერსიტეტი — ლელო 3 (0) (ს) : 3 (0) (ს)

23.V: უნივერსიტეტი — რაში 8 (0) (ლ, ს) : 6 (3) (2ს); ყოჩები II — დინამო 0 : 13 (3) (2ლ,ს)

24.V: აკადემია — დელფინები 16 (10) (ლ, გ, 3ს) : 13 (ლ, გ, 2ს); ლელო — გელათი 6 (3) (2ს) : 13 (ლ, გ, 2ს)

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| რაში | 5 | 4 | 0 | 1 | 64:30 | 6-3 | 8 |
| უნივერს. | 4 | 2 | 2 | 0 | 41:38 | 5-4 | 6 |
| აკადემია | 5 | 3 | 0 | 2 | 59:65 | 7-9 | 6 |
| ლელო | 4 | 2 | 1 | 1 | 48:41 | 4-4 | 5 |
| დინამო | 4 | 2 | 0 | 2 | 40:26 | 6-3 | 4 |
| გელათი | 4 | 2 | 0 | 2 | 44:40 | 3-3 | 4 |
| დელფინ. | 5 | 1 | 0 | 4 | 58:75 | 7-6 | 2 |
| ყოჩები II | 5 | 0 | 1 | 4 | 59:98 | 8-14 | 1 |

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ნახევარფინალები, ანუ გაერთიანებათა ფინალები დაიწყო. აღმოსავლეთში ფილადელფიამ შინ ორჯერ წააგო ნიუ-ჯერსისთან 1:4, 2:5, მერე კი სტუმრად მოუგო — 3:2; დასავლეთში კი რეგულარული სეზონის გამარჯვებულმა დეტროიტმა ორჯერვე დაამარცხა ჩიკაგო 2:1, 3:2.

მეოთხედფინალები, მართალია, ერთი კვირის წინ დამთავრდა, თანაც მოულოდნელად სწრაფად, და შედეგებიც უკვე გაუწყეთ, მაგრამ მათზე უფრო ვრცლად შეჩერება მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ, მით უფრო, რომ რამდენიმე სენსაციაც აღინუსხა.

# თასს ახალი პატრონი ეყოლება

**ფილადელფია ფლაიერზი — ნიუ-იორკ რეინჯერსი 4:0 (5:4, 4:3, 5:2, 4:1).** შარშანდელმა ჩემპიონმა მხოლოდ პირველ ორ მატჩში გაიბრძოლა, ისიც ვეტერანთა, მარკ მესიესა (0+5) და ბრაიან ლიჩის (4+1) წყალობით და უსახელოდ დამარცხდა. „ფილადელფიაში" გაიბრწყინა სეზონის საუკეთესო სამეულმა: ჯონ ლეკლერი — ერიკ ლინდროსი — მიქაელ რენბერგი, რომელმაც 4 თამაშში 7 გოლი გაიტანა. ლეკლერმა პირველ მატჩში ჰეთ-თრიქიც შეასრულა.

**ნიუ-ჯერსი დევილზი — პიტსბურგ პინგვინზი 4:1 (2:3, 4:2, 5:1, 2:1, 4:1).** ყველაზე დიდი სენსაცია სწორედ აქ მოხდა. „ეშმაკებმა" თავიანთი დაცვითი ჰოკეი ითამაშეს და გაანადგურეს „პინგვინები" — სეზონის ერთ-ერთი უზვოლიანი გუნდი. მეკარე მარტინ ბროდიეს გარდა პიტსბურგელთა რისხვა კლოდ ლემიოც გახდა, რომელმაც 6 გოლი შეაგდო. ამათ მხარი ჯონ მაკლინმა (2+3) და 1980 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნილ ბროტენმაც (2+4) აუბეს. „პინგვინთაგან" თავი მხოლოდ სამმა კაცმა გამოიჩინა, დანარჩენებმა კი მხოლოდ ორი გოლი შეაგდეს. ის სამი კაცი კი სტენლის თასის ბომბარდირთა სიაში ჯერჯერობით პირველ მესამე და მეოთხე ადგილზე არიან: რონ ფრენსისი — 20 ქულა (6 გოლი + 14 პასი), იარომირ იაგრი — 15 (10+5), ჯო მერფი — 15 (2+13). ბომბარდირთა სიას ჯერჯერობით პირველივე წრეში გავარდნილი თეორენ ფლერიც შემორჩა — 14 (7+7), დეტროიტელი რუსები — სერგეი ფიოდოროვი (16) 4+12) და ვიაჩესლავ კოზლოვი 14 (7+7) კი თავიანთ მონაგარს ალბათ ნახევარფინალში შეავსებენ.

**დეტროიტ რედ ვინგზი — სან ხოსე შარქსი 4:0 (6:0, 6:2, 6:2, 6:2).** შარშან, პირველივე წრეში დამარცხებისთვის დეტროიტმა წლეულს შური იძია: უკვე ნახსენებ რუსთა წყვილის 20 ქულას 6 (3+3) დუგ ბრაუნმა დაამატა, პოლ კოფიმ კი სტენლის თასზე მცველთა რეკორდი გააუმჯობესა — 165 ქულა (50+115) დააგროვა და ქულით გაასწრო ფელიქს პოტვინს. სან-ხოსელთა 6 გოლიდან 4 იმ სამეულზე მოდის, სადაც კვლავ თამაშობენ მობერებული რუსები — მაკაროვი და ლარიონოვი.

**ჩიკაგო ბლექჰოქსი — ვანკუვერ კენაქსი 4:0 (2:1, 2:0, 3:2, 4:3).** ცხარე ბრძოლას სამი ოვერტაიმიც ადასტურებს. „ვანკუვერმა" შარშან 7 დამატებითი დროიდან 6 მოიგო, წელს კი სამივეში თავად გაუშვა გადამწყვეტი გოლი, შეიძლება იმიტომაც, რომ „ჩიკაგომ" მოახერხა პაველ ბურეს (0+1) უვნებელყოფა. ჩიკაგოელთა ძველ გვარდიას, დენის სავარსა (1+3) და ბერნი ნიკოლზს (0+3) მესამე მატჩში გუნდის ლიდერი, 2 აპრილის მერე უთამაშებელი ჯერემი რენიკიც დაემატა და ორ თამაშში 3 ქულაც დააგროვა (2+1).

სამველ ლარიბიანი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფინალის პირველ მატჩში შარშანდელმა ჩემპიონმა „ჰიუსტონმა" სტუმრად 120:118 დაამარცხა „ორლანდო" და 1-0 დაწინაურდა.

ჩოგბურთი

# რჩეულთა კვარტეტი გაირკვა

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ამერიკელმა ანდრე აგასიმ ვერც ამჯერად მოიგო საფრანგეთის ღია პირველობა — სამშაბათს მეოთხედფინალი წააგო რუს ევგენი კაფელნიკოვთან. აგასის პირველსავე ხელში მარჯვენა თეძოს კუნთები დაეჭიმა, რის გამოც მეორე ხელში სამწუთიანი ტაიმ-აუტიც მოითხოვა.

კაფელნიკოვი ნახევარფინალში ეთამაშება თიხაზე ასპარეზობის ოსტატს, ავსტრიელ თომას მუსტერს, ვინაც ორი წლის წინ მძიმე საყოფაცხოვრებო ტრავმა კი მიიღო — თავის მანქანას რომ უჩხიკინებდა, ვიღაცა გადარეული ავტოთი დაეჯახა, მაგრამ მერე თანდათან მოკეთდა, წელს კი შესანიშნავად ასპარეზობს, ტურნირს ტურნირზე იგებს და მათს ვილანდერს თიხნარზე ზედიზედ მოგების რეკორდიც კი მოუხსნა. მუსტერი შესაშური შეუპოვრობითაც გამოირჩევა: აი, ამჯერადაც მეოთხედფინალი ხუთ ხელში მოიგო. თუ კაფელნიკოვი პირველად გავიდა დიდი სლემის შეჯიბრის ნახევარფინალში, მეორე ნახევარფინალის მონაწილეებს „როლან გაროსი" ადრეც მოუგიათ. ჩანგმა 1989 წელს გაიმარჯვა, ესპანელმა სერხი ბრუგერამ — შარშან და შარშანწინ. ბრუგერამ მერვედფინალის ბოლო ხელის თაი-ბრეიქი 7-4 კი მოუგო შვედ მაგნუს ლარსონს, მაგრამ ანგარიში 1-1 რომ იყო, ხუთი წუთი იდავა ერთი აუტის გამო, რისთვისაც ხალხმა უსტვინა. მეოთხედფინალში ესპანელი იოლად მოერია იტალიელ რენცო ფურლანს, რომელსაც ჯერ სამთავე კუნთი დაეჭიმა, მერე კი ბარძაყის სათბურიც კი გაიკეთა.

ჩინელმა ამერიკელმა მაიკ ჩანგმა იოლად დაამარცხა მსოფლიო კლასიფიკაციის 128-ე ნომერი, რუმინელი ადრიან ვოინეა, რომელიც წმინდა ეკონომიკური და თურმე არამც და არამც პოლიტიკური მოსაზრებებით ბოლო წლებია იტალიაში ცხოვრობს. რუმინელი — კი ლეგენდარული ილიე ნასტასე, „როლან გაროსის" ნახევარფინალში ბოლოს 1977 წელს გასულა. ამის მცოდნე ვოინეა ისე დათრგუნული ყოფილა, რომ ჩანგს აღარც გასძალიანებია.

ქალთა შეჯიბრში მნიშვნელოვანი თითქმის არაფერი მოხდარა. გრაფმა დაანგრია საბატინი, მაიოლი კი დატეს პირველ ხელს 5:2 კი უგებდა, მაგრამ ბოლოს ორ ხელში თავად დამარცხდა.

სამაგიეროდ, სამშაბათს გამოქვეყნებულმა ცნობამ ყველას ცნობისწადილი გაუღვივა. საზოგადოებას უკვე საბოლოოდ ჩაექნია ხელი ორი წლის წინ ვიღაც გიჟის მიერ ბეჭში დანით დაჭრილ მონიკა სელეშზე, რომელიც უამრავი შეპირების მიუხედავად მაინც ვერ დაუბრუნდა დიდ ჩოგბურთს. და აი, ახლა, მორიგი ცნობა გამოჩნდა: 29 ივლისს სელეში თურმე საჩვენებელ მატჩს გაუმართავს ვეტერან მარტინა ნავრატილოვას. შოუს გამართვის ადგილი ჯერაც უცნობია.

ირაკლი ნინუა


აგასი კაფელნიკოვთან წაგების შემდეგ


მონიკა სელეში ჩოგბურთს უბრუნდება


თომას მუსტერი


ევგენი კაფელნიკოვი


მაიკლ ჩანგი


სერხი ბრუგერა

**საფრანგეთის ღია პირველობა**

**ვაჟები**

მერვედფინალი. აგასი (აშშ, 1) — ელაინაუი (მაროკო) 6:4, 6:2, 6:2; კაფელნიკოვი (რუსეთი, 9) — კორეჩა (ესპანეთი) 6:3, 6:2, 6:2; ა. კოსტა (ესპანეთი) — კურიე (აშშ, 13) 6:4, 1:6, 7:6, 6:4; მუსტერი (ავსტრია, 5) — მედვედევი (უკრაინა) 6:3, 6:3, 6:0. ჩანგი (აშშ, 6) — შტიხი (გერმანია, 12) 1:6, 6:0, 6:2, 6:3; ვოინეა (რუმინეთი) — ჩესნოკოვი (რუსეთი) 7:6, 6:3, 6:4; ბრუგერა (ესპანეთი, 7) — ლარსონი (შვედეთი, 10) 6:1, 2:6, 7:5, 7:6; ფურლანი (იტალია) — დრეიპერი (ავსტრალია) 7:5, 6:1, 7:6

მეოთხედფინალი. კაფელნიკოვი — აგასი 6:4, 6:3, 7:5; მუსტერი — კოსტა 6:2, 3:6, 6:7, 7:5, 6:2. ჩანგი — ვოინეა 7:5, 6:0, 6:1; ბრუგერა — ფურლანი 6:2, 7:5, 6:2

ნახევარფინალი (დღეს): კაფელნიკოვი — მუსტერი. ჩანგი — ბრუგერა

**ქალები**

მერვედფინალი: სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 1) — სმაშნოვა (ისრაელი) 6:4, 6:0; რიუბინი (აშშ) — სუგიამა (იაპონია) 6:2, 1:6, 6:2; მაიოლი (ხორვატია, 12) — პირსი (საფრანგეთი, 3) 6:2, 6:3; დატე (იაპონია, 9) — დავენპორტი (აშშ, 7) 6:4, 6:3. რუანო-პასკუალი (ესპანეთი) — დრაგომირი (რუმინეთი) 2:6, 6:0, 6:3; მარტინესი (ესპანეთი, 4) — სერა-ძანეტი (იტალია) 6:0, 6:1; საბატინი (არგენტინა, 8) — ნაგაცუკა (იაპონია) 6:3, 6:0; გრაფი (გერმანია, 2) — ჰუბერი (გერმანია, 11) 6:4, 7:5

მეოთხედფინალი. სანჩეს-ვიკარიო — რუბინი 6:3, 6:1; დატე — მაიოლი 7:5, 6:1. მარტინესი — რუანო-პასკუალი 6:0, 6:4; გრაფი — საბატინი 6:1, 6:0

ნახევარფინალი (გუშინ). სანჩეს-ვიკარიო — დატე 7:5, 6:3; გრაფი — მარტინესი 6:3, 6:7, 6:3



ორშაბათს იშვიათი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ეთიოპმა მძლეოსანმა ჰაიმე გაბრესილასემ. ჰოლანდიის ქალაქ ჰენგელოოში 20 ათასი მაყურებლის თვალწინ მან 8 წამით გააუმჯობესა კენიელი ვილიამ სიგეის მიერ შარშან ივლისში გახერხებული შედეგი. ახალი სარეკორდო დროა 26.43,53. ეთიოპი ამ რეკორდის დასამყარებლად სამი თვე საგანგებოდ მოემზადა, ბოლო წრე კი 59 წამში გაირბინა.

იმავ ორშაბათს უროს ტყორცნის მსოფლიო რეკორდი დაიბრუნა რუსმა დედაკაცმა ოლგა კუზენკოვამ. მისი შედეგი 68 მეტრი და 14 სანტიმეტრია. მსოფლიო რეკორდსმენი ერთი ხანობა რუმინელი მიხაილა მელინტე ყოფილა.

ჰაიმე გაბრესილასე

## აქეთური, იქითური

გუშინ ლიდსის გარეუბან ჰედინგლიში დაიწყო ინგლისი — ვესტ-ინდოეთის პირველი საკრიკეტო ტესტი. კარიბელები კრიკეტის სამშობლოში ოთხი თვით ჩასულან და იქ სექტემბრის შუა რიცხვამდე დაჰყოფენ, ამ ხნის მანძილზე კი ექვს ხუთი ტესტის თამაშს მოასწრებენ და საგრაფოთა გუნდებსაც გაეჯიბრებიან. საკრიკეტო ტესტი ხუთ დღეს გრძელდება, სხვა თამაშები კი — შეთანხმებისამებრ, ჩვეულებრივ სამ-ოთხ დღეს.

*

37 წლის იტალიელს, ერთ-ერთი მსუბუქი წონის მოკრივე ჯანფრანკო როსის წაგების მისჯა და ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. როსის სპორტისთვის თავი ჰქონდა მინებებული, მაგრამ ახლახანს რინგს დაუბრუნდა და 17 მაისს, პერუჯაში, ქულებით ერთხმად დაამარცხა ამერიკელი ვერნონ ფილიპსი. შერკინების შემდეგ აღებულ შარდის სინჯში მოკრივეს ამფეტამინები აღმოუჩინეს. ორშაბათს იტალიის ოლიმპიური კომიტეტის ლაბორატორიამ მეორე სინჯის გამოც იგივე დაასკვნა. როსი თავის დროზე კრივის მსოფლიო საბჭოს ჩემპიონი ყოფილა, ამჯერად კი მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით ასპარეზობდა.

*

63 წლისა ღვიძლმა დაალაქტა „ნიუ-იორკ იანკისის" ლეგენდარული კეტბურთელი მიკი მანთლი, ვისაც ამ ორგანოს გადანერგვა თუ უშველის.

*

საფრანგეთში მიმდინარე „დოფან ლიბერეს" ველოტურში დაწინაურდა ესპანელი მიგელ ინდურაინი, ვინაც მესამე, ჩქაროსნული ეტაპი მოიგო და მანამდე დაწინაურებულ ბრიტანელ კრის ბორდმენს გადაუსწრო.

*

ინდონეზიელი ქალი სუზი სუზანტი ვეღარაა მსოფლიოს ნომერ პირველი ბადმინტონის მოთამაშე. მას მავანმა სამხრეთკორეელმა აჯობა. რაც შეეხება კაცთა პირველ ჩოგანს, ასევე ინდონეზიელ ჰირიანტო აბის, იგი მეტად დაწინაურდა. რეიტინგის ცვლილებები ახლახანს ლოზანაში გამართულმა გუნდურმა მსოფლიო თასმა და პირადმა ჩემპიონატმა განაპირობა.

*

საოქტომბროდ ბრიტანეთში დაგეგმილი ლიგის რაგბის საიუბილეო მსოფლიო თასის გამართვა საეჭვო შეიქნა. მიზეზი ავსტრალიელთა რაგბის შინაშლილობაა. არსებული ლიგა უარზეა, ქვეყნის ნაკრებში შეიყვანოს ის მოთამაშეები, რომლებიც ახლახანს შექმნილ მეამბოხე ლიგაში გადავიდნენ, ამ ლიგის მამები კი აქეზებენ ბრიტანეთს, ახალ ზელანდიასა და პაპუასეთს, რათა საერთო ძალისხმევითა და ხმათა უმრავლესობით ლიგის რაგბის საერთაშორისო საბჭოში ავსტრალიის წარმომადგენლად მეამბოხე ლიგა აარჩევინონ. მოშულარი ლიგების საქმე სექტემბერში, სიდნეის ფედერალურ სასამართლოში გაირჩევა.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი-79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29